

დარტულური

საქართველო



ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

28 მარტი, 2014 წ.

№12 (3698)

გამოცემის 78-ე ვერსია

ვასი 1 ლარი

თამაზ ნივნივაძე

ძვირფასო მკითხველო!

ეს საგაზეთო პუბლიკაცია „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე პირველად ამ ათიოდე წლის წინათ დაბეჭდა, ანუ იმ დროს, როცა მიხეილ საკაშვილი ჯერ კიდევ არ არის ქვეყნის პირველი პირი!

ამ წერილის გამოქვეყნების ერთადერთი მიზანი ის გახლდათ, რომ თანამემამულები გამეფრთხილებინა – ეს ნახევრად გიუი არ აგვერჩია საქართველოს პრეზიდენტად!

შენ ვის დაკარგვიხარო, – ასეთი იყო „აუიტირებული“ ამომრჩევლის პასუხი!

თუ თქვენსას არ დაიშლით, მალე გამიხსენებთ-მეთქი, – ვთქვი და დავამთავრე!

თუმცა მე ვინ ვარ! – მერე და მერე ეს კაცი მსოფლიოს შვილმა საუკეთესო კლინიკამ პირდაპირ გიუად შერაცხა!

აგერ ახლა კი მიხეილ საკაშვილს საქართველოს მთავარ პროკურატურაში იბარებენ და, როგორც შეურაცხადს, ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკრავენ თავს ან კიდევ ციხეში!

ვინ მისმინა, თორემ ეს ამბავი მე საწყალმა ამ ათიოდე წლის წინათ ვიწინასწარმეტყველე..

აქვე კი იმ გახმაურებულ პუბლიკაციას სრულად გთავაზობთ!..

პრეზიდენტის ტახტზე ასვლამდე გიუი ჯერ სახურავზე ადის!

გვახსოვს, ალბათ, ამას წინათ გენერალურ პროკურატურას ოპოზიციური პარტიების ლიდერები უნდა დაეკითხა!

ერთმა მათგანმა კი, რომლის გვარსაც აქ შეგნებულად არ ვასახელებ, პირდაპირ განაცხადა: გენერალურ პროკურორს მე კაბინეტში არ ვეახლები, ხოლო, თუ იგი მაშინ მოვა ჩემთან, როცა მე სახურავზე ვიქნები გასული, შეიძლება, ჩვენება ან მიცცე, ან არაო!

რასაკვირველია, ეს პარტიის ლიდერის კი არა, გიუის განცხადება!

თანაც – სუფთა წყლის!

გიუები კი, პარტიის ლიდერები იქნებიან ისინი თუ რომელიმე სხვა ორგანიზაციის, ყველგან გიუები არიან!

ამ ჩვენს გიუს კი, რომლის გვარსაც აქ შეგნებულად არ ვასახელებ, სახლის სახურავზეც ხშირად ყვედავთ გადმოყუდებულს!

და ჩვენც, იმის მაგივრად, ხელში დამცავი ბადით ამ სახლს ირგვლივ რომ ვურბენდეთ, მხოლოდ სეირის ყურებით ვართ გართული!

არადა, გიუის სახურავზე გასვლა არც ახალია და არც საქართველოში ხდება პირველად!

თუ გახსოვთ, ერთი ასეთი შემთხვევა თურქ მწერალს, აზიზ ნესინსაც აქვს აღნერილი ერთ თავის იუმორისტულ მოთხოვნაში – „სახურავზე გიუია!“ იმ უცხოელი გიუისგან განსხვავებით, ამ ჩვენს უცხოეთში განათლებამილებულ გიუს, რომლის გვარსაც აქ შეგნებულად არ ვასახელებ, არც დეპუტატობა სურს, არც მინისტრობა, არც საკერძულოს თავმჯდომარეობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც პრეზიდენტობა! – უნდა უბრალოდ ის, რომ სახურავიდან წყალი არ ჩამოვიდეს და ამომრჩეველი არ შეუწუხოს!

სხვათა შორის, იმ მოთხოვნაში აღნერილი გიუი და ამ ჩემს პატარა ჩანახატში გამოყვანილი არანორმალური ახალგაზრდა საქციელითაც ძალიან ჰქონის ერთმანეთს და გარებული ფორმითაც!

ეტყობა, გიუი ყველა ქვეყანაში მაინც გიუია!

ამის მიუხედავად, მე მანც ჩვენებური გიუის, რომლის გვარსაც აქ შეგნებულად არ ვასახელებ, მხარეზე ვარ!

ერთი შენიშვნაც! როცა აქვე დაბეჭდილ აზიზ ნესინის მოთხოვნას წაიკითხავთ, არ შეიძლება, იქ აღნერილი იმ კეთილშობილი მოხუცი კაცის ტიპაჟიც არ გეცნოთ, რომელსაც გიუი სახურავიდან ჩამოჰყავს!

რასაკვირველია, ქვეუდან გადასული კაცის სახურავიდან ჩამოყვანა თავისთავად კეთილი საქციელია, მაგრამ უფრო უკეთესი ის იქნებოდა, თვითონვე რომ არ ესწავლებინა მისთვის სახურავზე ასვლა!



თორემ, ვიდრე სახურავზე ასვლას არ ასწავლიდა, კი ჩადიოდა ის ახალგაზრდა მეტროში თავისი ფეხით!

ცხადია, ტელეოპერატორებისა და თავისი სამსახურებრივი ავტომანქანის თანხლებით!

დანარჩენი კი, რაც ჩვენ მკითხველს გიუების ირგვლივ აინტერესებს, მშვენივრად არის აღნერილი თურქი მწერლის აქვე დაბეჭდილ მოთხოვნაში, რომლის დიდებული თარგმანიც ქართველმა მკითხველმა პირველად ჩვენი ცნობილი მოღვაწის, ელიზბარ ჯაველიძის შესრულებით მიიღო!

►► პირველი გვერდიდან

აზიზ ნესინი

სახურავის გიზია

მთელი უბანი ფეხზე დადგა:

- სახურავზე გიჟია... გიჟი...

ქუჩა მთლიანად აივსო ცნობის-მოყვარებით. ჯერ საპოლიციო უბინანებით, მერე სამმართველოდან მანქანით პოლიციელები მოგრიალდნენ. მათ არც მეხანძრეთა რაზმი ჩამორჩა...

- ჩემო შვილიკო, ჩამოდი, ქვემოთ... აბა, ჩამოდი! - ეხვეწებოდა დედა თავისი შვილს.

- მამასახლისად თუ არ ამირჩევთ, აქედან გადმოვარდები, - უპასუხებდა იგი...

მეხანძრებმა სახანძრო ბრუნვი გამაღეს. ცხრა კაცმა მჭიდროდ ჩაჰურდა ხელები მის ბოლოებს და მთლიანად ოფლში განურულნი სახლს ირგვლივ უტრიალებდნენ - რა არის, გიჟი რომ მართლაც გადმოხტეს, დავიტიროთ...

- გთხოვ, ძამიკო, ჩამოდი ძირს, - არნენებდა კომისარი და მის ხმაში მუქარასთან ერთად მუდარაც ისმოდა.

- მამასახლისად ამირჩიეთ და ჩამოვალ. არადა, აქედან გადმოვარდები.

არც ხევნა-მუდარამ და არც მუქარამ არ გაჭრა.

- ჰე, ძმაო, ჩამოდი, რა...

- ერთი ამათ დამიხედვე... მე ქვემოთ ჩამომიყვანოთ და თქვენ ზემოთ ახვიდეთ!

- ვუთხრათ, რომ უკვე ავირჩიეთ, - თქვა ვიღაცამ.

- შეუძლებელია! - შეეპასუხა მეორე. - გიჟის მამასახლისობა გაგონილა?

- ალლაპ, ალლაპ, მართლა ხომ არ ავირჩევთ...

- ჰაი, ჰაი, რომ არ შეიძლება, - ჩაერია საუბარში ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი, - თუნდაც სეროზულად, თუნდაც ხუმრობით მისი მამასახლისად არჩევა არ იქნება.

- ეგებ ჩამოვიდეს?

- არ ჩამოვა. მე მაგათ ვიცნობ. როგორც კი ერთხელ ზევით ავლენ, უკვე აღარ ჩამოდიან.

- ოღონდაც ამ ერთხელ ჩამოვიდეს და...

- არ ჩამოვა.

ერთმა კაცმა გიჟი ასძახა:

- შენ უკვე მამასახლისი ხარ. აბა, ჩამოდი, ერთი!

გიჟი დაუარა.

- არ ჩამოვალ. თუ ქალაქის მეჯლისის ნეკრად არ ამირჩევთ, აქედან გადმოვარდები...

მოხუცი ხალხს მიურუნდა:

- აპა... განა არ გითხარით?..

- ყველა სურვილი შევუსრულოთ.

- რაც უნდა იღონოთ, არ ჩამოვა.

თუ კაცი ისე გაგიჟდა, რომ სახურავზე ავიდა, აღარ ჩამოვა...

- შენ უკვე მეჯლისის ნეკრი ხარ, - დაინყო კომისარმა, - აბა, ძმაო, ჩამოდი, მეგობრებს ნუ აცდევინებ.

გიჟი ცეკვა განაგრძო.

- არ ჩამოვალ, ქალაქის მერად დამნიშნეთ და ჩამოვალ.

- ხედავთ? - თქვა მოხუცმა, - დროზე უნდა გეღონათ რამე. ახლა არაფრით არ ჩამოვა.

- ქალაქის მერად რომ გაგრა-დოთ, ვითომ რა მოხდება? - თქვა ოფლში გახვითქულმა ცეცხლმქრობი რაზმის უფროსმა.

მემდეგ ორი ხელი პირთან მოიმ-რგვალდა და შეჰქვირა:

- ჩამო, ძმაო... შენ უკვე ქალაქის მერი ხარ... ჩამოდა საქმებს შეუდევი.

გიჟმა მუცელი აათამაძა.

- არ ჩამოვალ, - თქვა, - რა მე-საქმება იმათან, ვინც გიჟი ქალა-ქის მერად დანიშნა. არა, არ ჩამოვალ.

კარგი, მაგრამ რა გინდა?

- მინისტრად თუ გამხდით, ჩა-მოვალ.

ხალხი ერთხანს აჩოჩილდა:

- უკვე მინისტრადაც დაგნიშ-ნეთ...

- ჰაიდა, ჩამოდი ახლა ქვემოთ... ჩამოდი... ნახე, ყველა შენ გეღლოდება...

გიჟმა ხელი ცხეირობან მიითანა და თითები აათამაძა.

- არ ჩამოვალ. განა ჩავალ იმ ადამიანებთან, ვინც გიჟი მინისტ-როც ხარ, სხვა მინისტრები შენ გიც-დიან, ჩამო, რა...

- არა, ხომ არ მანვიმს? რომ ჩა-მოვიდე, საგიჟეში დამამწყვდევთ, არა...

- ამაოდ ცდილობთ, არ ჩამო-ვა, - დაინყო კვლავ მოხუცმა, - მე ამ გიჟებს ძალიან კარგად ვიცნობ. თქვენც რომ გაგხადონ მინისტრად, მაშინ არც თქვენ მოინდომებთ ჩა-მოსვლას...

ზემოდან გიჟმა დაიღრიალა:

- დიდი ვეზირის თანამდებობა-ზე თუ არ დამნიშნავთ, აქედან გად-მოვარდები.

დაგნიშნავთ. შენ უკვე დიდი ვე-ზირი ხარ, - შესძახეს აქეთ-იქიდან.

- მანიც არ ჩამოვა, - დასძინა მოხუცმა.

გიჟი კვლავ აცეკვდა.

- მეფედ გამხდით, ჩამოვალ. თუ არადა, აქედან გადმოვვარდები.

მოხუცის ვარაუდი მართლდებო-და.

- რას იტყვი? დაგსვათ მეფედ? - რჩევისთვის მიმართეს მას.

- რაღას ვიზამთ? ახლა, რასაც მოითხოვს, უნდა გააკეთოთ - რაც უნდა იყოს, ის დიდი ვეზირია.

- შენ მეფე ხარ, მეგობარო! - და-უყვირეს გიჟი, - ჰა, აბა, ახლა კი ჩა-მოდი.

სახურავზე გიჟმა კვლავ აათამა-შა მუცელი.

- არ ჩამოვალ! - თქვა.

- რაღა გინდა? გვირგვინიც და-გადგეს უკვე.

- ააა... არ ჩამოვალ. იმპერა-ტორად გამხდით - ჩამოვალ, თუ არადა, აქედან გადმოვვარდები.

- მართლა გადმოვვარდება? - ჰკითხეს მოხუცმა.

გადმოვვარდება.

- შენ უკვე იმპერატორი ხარ. ახ-ლა მანიც ჩამოდი.

- რა საქმე აქვს თქვენისთანა დამთხვეულებთან ჩემისთანა იმპე-რატორს, - გაიბრინდა გიჟი.

- კარგი, მაგრამ რაღა გინდა, თქვი და აგისრულებთ, ჩამოდი, რა, ძამიკო...

- მე ხომ იმპერატორი ვარ? - იკითხა გიჟმა.

- დიახ, იმპერატორი ხარ.

- თუ ჩამოვარდება, ჩამოვალ, არ მსურს - არ ჩამოვალ... არ ჩამოვ-დივარ, არა.

კომისარი გაცოფდა.

- თუ ჩამოვარდება, ჩამოვარდება... ერთი გიჟით ნაკლები იქნება,

- გაიფიქრა, მაგრამ რა თავში სხვა აზ-რმა გაულევა.

- ახლა რაღა ვენათ? - შეეკითხა სახანძრო რაზმის უფროსმა მოხუცმა, - ეს გიჟი არასოდეს აღარ ჩამოვა?

- ჩამოვა.

- როგორ?

- თავი დაანებეთ და მე ჩამოვიყ-ვან...

ყველა დაინტერესდა, თუ რო-გორ ჩამოვარდება, ჩამოვარდება... ერთი გიჟით ნაკლები იქნება, მეორე გიჟით ნაკლები იქნება.

მოხუცმა შესძახა გიჟი, როგო-ლი შევიდასართულიანი სახლის სა-ხურავზე იდგა.

- თქვენი უდიდებულესობავ, მეექვენი გიჟით ნაკლები მოხუცმა მოხუცმა გიჟით ნაკლები გიჟით?

გიჟმა სერიოზული გამომეტყვე-ლება მიიღო.

- კარგიო, - თქვა.

სახურავის სარემელში შეძვრა, კიბეზე დაეშვა, შეექვეს სართულის სარემლიდან ხალხს გადმოხედა.

- მბრძანებელთა მბრძანებე-ლო... მეხუცმა გაცემის მინიჭებულება?

- ჩამოვალ.

ყველა განცვიფრებული იყო ამ ამიტომ. გიჟი უკვე მეორე სართუ-ლის სარემლიდან გადმოსცეროდა ხალხს.

- მბრძანებელთა მბრძანებე-ლო... მეხუცმა გაცემის მინიჭებულება?

- ჩამოვალ.

ამიტომ, იქნება, მანამდე ვცადოთ და თავი არ გავაცუცურავებინობით ამ ჯურის მატრაკვეცებს, თორემ, რა დრომდეც უნდა დაპყოს გიჟმა სახურავ-ზე, მანიც ხომ ვერაფერს მოიფიქრებს ისეთს, სახლში წყალი რომ არ ჩამო-ვიდეს?

განცხადების ჩილდობრივი მიზანი

მათულის მიზანი

აფრიკის დელე კალმახის წინწკალს, შორს ოქროსფერად მღელვარებს ყანა, რარიგ ტკბილი ხარ, მამულის მიწავ, რა ტკბილი ხარ და რა მწარე თანაც.

იცისკრა. ზეცის განიხვნა ბჭენი, მთები - დაყრილი ლომის ბოკვრები... მე თუ ვიცოცხლე, ვიცოცხლებ შენით, თუ მოვკვდი, მხოლოდ შენთვის მოვკვდები.

გადიმქუხარებს ტყეებზე მეხად უინმორეული ირმის ყვირილი, ჩემი სიმძლერის მიზეზი შენ ხარ, შენ ხარ მიზეზი ჩემი ტირილის.

და ილენება ჩემი მზის კალო, ხავს ვკრებ, თითები გავაფინალე, მოყვრის სიყვარულს უფლისგან ვსწავლობ, მტრის სიძულვილი შენით ვისწავლე.

შენს სიყვარულზე არც როდის ვდაობ, სარკმელთან ჩუმად შრიალებს თუთა, რა მაღალი ხარ, მამულის ცაო, და რა ძალიან ახლოს ხარ გულთან.

აფრიკის დელე კალმახის წინწკალს, შორს ოქროსფერად ბრიალებს ყანა, რარიგ ტკბილი ხარ, მამულის მიწავ, რა ტკბილი ხარ და რა მწარე თანაც.

ის მაცოდინა

ვინ ნახა ამპის მომტანი, სულეთს ავ-კარგის გამგები, ბოგანოც ისე დამიწდა, ვით სხვილოს ციხის ამგები.

ის მაცოდინა, ნეტავი, უფლის ნებით და განგებით, - ჩემ გვეკარგება სამზეო, თუ ამ მზეს ჩვენ ვეკარგებით.

სიხარული დავაგურებელი

ჩემით ვეღარც ჩემსას ვჩემობ, ვერც შენ გნახავ იმკვირია, შე საბრალო დედაჩემო, ეს რამდენი გიტირია.

დაგლტობია ცრემლით უბე, ალარც კალთა შეგრჩა მშრალი, სიხარული დავაგუბე, გადმოვიდა მღვრიე წყალი.

ფიქრით დავალ ღრუბელ-ღრუბელ, გალობანი მესმა ციდან... სიყვარული დავაგუბე, სიძულვილი გადმოვიდა.

მომინისლავს თვალებს სევდა, ვეხეტები კარით-კარად, ია-ვარდი დავთესე და ნარ-ეკალმა გაიხარა.

ჩემით ვეღარც ჩემსას ვჩემობ, ვერც შენ გნახავ იმკვირია, შე საბრალო დედაჩემო, ეს რამდენი გიტირია.

აღსარება გითხარით

მეუფე ისაიას

გარეთ გაზაფხული ზეობს, აყვავილდა თიხნარი, ლექს არ ვამბობ, მეუფე, აღსარება გითხარით.

გულთან მითრთის მძიმე წყლული, როგორც ფიცხი იაბო, თქვენ, ერთადერთს, ჩემი სულის ჭრილობებზე გიამბობთ.

ეფინება ნამი ტყე-ველს,

კრთება მთვარის ლებანი, მეუფეო, მომიტევეთ ჩემი შეცოდებანი.

მარტო ვიყავ, როგორც ოლე, არც მასიოდა, ვინა ვარ, უფლის რწმენა გამაყოლეთ გოლგოთისკენ მიმავალს.

გადავურჩი ბნელს და ავდარს, ახლა მიძიმს ფიქრი და თქვენი სიტყვაც მიფარავდა შეჭიდებულს სიკვდილთან.

მობრძანდებით ღვთიურ ნათლით, ნუ აამღვრევ, ქარო, ცას... ელოდება შუა ქართლი თქვენს კურთხევა-დალოცვას.

გარეთ გაზაფხული ზეობს, აყვავილდა თიხნარი, ლექს არ ვამბობ, მეუფე, აღსარება გითხარით.

ისევ მოვა მალე მარტი

უამური, ცივზე ცივი ქარი ქროდა, გამშვიდებდი - ისევ მოვა მალე მარტი და იების დაგშვენდება ლურჯი ქობა, ვით შუშანიკს სადედოფლო პალეკარტი.

არ ვიცოდი, ვინ იყავი, სადაური, არ მიკითხავს სალოცავი ანდა რჯული, გიხდებოდა პენჯაბური ხატაური და თვალები, ვეფხვის მზერით დახანჯლული.

მთვარის გზებით მოდიოდა მთებში ღამე, ძლიერ მოგაგენ, შემეცვალა ალბათ მხარი, აღსარების ცრემლით კალთა დაგინამე და შენ მაინც ერთი სიტყვაც არ მითხარი.

დრო გავიდა.

ყანა უკვე სამკელია, ზოგჯერ მაკრთობს მოლოდინი ავი სეტყვის, ნუთუ ჩემთვის საამბობი დაგელია, ნუთუ დღესაც აღარაფერს აღარ მეტყვი.

შენთან მოსვლა არ მქონია განზრასული, იცის ღმერთმა, უნებურად მოყევე ბადეს, დამიწოდე დროის რტოდან გაზაფხული, რომ მწყურვალი იმედები ამიყვავდეს.

გახსოვს ის დრო, როცა ცივი ქარი ქროდა, გამშვიდებდი - ისევ მოვა მალე მარტი და იების დაგშვენდება ლურჯი ქობა, ვით შუშანიკს სადედოფლო პალეკარტი.

სამდურავი

მადლი მფენია უფლისა, ცხრაჯერ ცხრათვალა მზე ვითა, სადა აქვს, ნეტავ, საწუთოს თავ-ბოლო, ზევით-ქვევითა.

პერანგს დარდისას მაცმევენ ავნი, უმსგავსნი ქცევითა, გავლიერ წუთისოფელი სულის ძლიერ ამოქცევითა.

რა ძლიერ გადავიდალე სოფლის სიმუხთლის მზერითა, უძმო, მტერგალადებული ვერ ნავალ ჩემის წერითა.

სახლო, ტიალად დამრჩალო, ყანავ, ნამკალო ჯერითა, გადამელია თვალ-გული თქვენს გზაზე გამოცერითა.

გამიცრიცხავ მაგობრები

ჩემი შარიშური ფარჩის, ცა - კუშტი და ხენეში, რანაირად მარტო დავრჩი ღმერთო, ამ სიბერეში.



მოდის ბინდი ნება-ნები, იცრიცება ოცნება, გამიცრინდნენ მეგობრები ცაში ანგელოსებად.

ფერებია ისე მრეში, რის ყვავილი, რა ხილი, გულს მიგმირავს ასჯერ დღეში მონატრების მახვილი.

გაიკირტნენ ალუბლები, გაიღვიძეს ატმებმა, ნუთუ ჩვენი საუბრები მხოლოდ მე მენატრება.

ახლა საით შეგეგებოთ, გამინვდილო მკლავებო, სად ნასულხართ, მეგობრებო, სულის ნათესავებო.

მომიმრავლდა, ვატყობ, წყლული, მახვილ ვეხდავ აღესილს, მაგონდება თქვენეული სინაზე და ალერსი.

იმ გარდასულ წლებზე ვწუხვარ, იმ დღეებით ვთქები და ამ გულიდან არ ნასულხართ და არც ამ ლექსებიდან.

ჩუმი შარიშური ფარჩის, ცა - კუშტი და ხენეში, რანაირად მარტო დავრჩი ღმერთო, ამ სიბერეში.

ჩვენი გარები

დროის წისქილი ულმობლად ფქვავს კვლავ თავის საფქვავს, შენს პატრონს მუდამ სველი მქონდა თვალთა უბე და მე თუ არა ვთქვი, შენ თუ არ თქვი, თუ იმან არ თქვა, მაშინ ქვეყანა უსათუოდ დაიღუპება.

ყველამ ჩეროში თუ გავშალეთ ჩვენ-ჩვენი ნეჭა დაგვეზარა თვალზე რულიანს, ჩემს გორდას, შენს თორს,

მის სიათას ჟანგი თუ შეჭამს, ეს მიწა-წყალი სამუდამოდ დაკარგულია.

ვერავინ გვიხსნის, საქართველო ჩვენა ვართ რადგან, გვაკმარე, ღმერთო, ჩვენი სახლში ყოფნა დევნილად, მე თუ აღვსდექი, შენ თუ აღსდექ, იგი თუ აღდგა, მამული მაშინ ჭეშმარიტად გადარჩენილა.

სიცყვა გადმოგდეთ მართვა, ანუ მათ ჩვენი ქადაგი ან უმოწვდომელი...

დიდებული ვაჟა-ფშაველა წერდა: „სიტყვა გადააგდე ერშია, სიტყვა რა სიტყვა ეული... მიხარის ჩემმა გაზრდილმა, რომ ბინა პოვა ერთანა“.

პოეტის სიტყვა ასეთი სიყვარულით მიიღო და გაითავისა ერმა, რადგან გულიდან მოდიოდა, ადამიანების სიყვარულით იყო გამთბარი, იმედიანი, გულწრფელი და ნალი იყო.

იმედიანი და გულითადი სიტყვა ყოველთვის პოულობს ადგილს ერის გულში, იმედის ნაცერენკალს აღვივებს, ათბობს და აპურებს სულს.

დიდი დაფიქრება მართებს ადამიანს სიტყვის სარმოთქმამდე. სათქმელი კარგად უნდა აწონ-დანონოს. ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა, უთქვამს ჩვენს ხალხს.

განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება იმას, ვინც მაღალი ტრიბუნიდან მიმართავს ადამიანებს. ამ დროს პირვენება არა მხოლოდ გამართულად უნდა მეტყველებდეს (ენობრივი თვალსაზრისით), უპირველესად, აზრობრივად ნათელი და მისაღები უნდა იყოს მისი ნათელამი.

უფლის ნებით მოვიშორეთ უვარგისი ხელისუფლება, ვებრძოლეთ ქვეყნის დაქცევთ, უკეთურებას, უწმინდურობას, ცრუპენტრელობას, ორპირობას, არაკაცობას...

გულში იმედი ჩაგვესახა, მაგრამ რეალობის განცდა არ დაგვიკარგავს. არც გამდიდრების ილუზით გავპრუბულვართ. არ გვიფირია, კეთილი თოვლის ბაბუა ჩამოივლის და დოლარებით სავსე კალათას დაგვირიგებსო...

ჩვენ ხომ ამაყი ერი ვართ, მათხოვრული სულისკვეთება უცხოა ჩვენთვის, მხოლოდ ვითხოვთ, რასაც ჩვენი შრომით, განვლილი ცხოვრებით ვიმსახურებთ. ჩვენთვის მთავარია ქვეყნის ბედი, მისი ნათელი მომავალი, რასაც ჩვენი კეთილდღეობა უნდა მოჰყვეს... და ამ იმედის, მოლოდინის ფონზე ბომბივით გასკდა ერში გადმოგდებული სიტყვა ფინანსურის მინისტრის ნოდარ ხადურისა – ბატონიმა მინისტრმა უტიფირად განაცხადა, 150 ლარი საარსებო მინიმუმზე მეტიაო.

საინტერესოა, ეს ბატონი ხადურის კვლევის შედეგით თუ მან მთავრობის მოსაზრება გაახმოვანა? სხვას თუ არავის, ფინანსთა მინისტრს იმის ანგარიში არ უნდა ეშლებოდეს, რომ 150 ლარი – დღეში 5 ლარია და რომ დღევანდელი საბაზო რეალობის პირობებში (როცა სურსათის ფასები ყოველდღიურად იზრდება) ამ თანხით ადამიანს არსებობა არ შეუძლია.

იქნებ, ბატონმა ხადურმა და ხელისუფლების ნარმომადებულება ექსპერიმენტი ჩატარობაზე თავზე. შემოიჭიროს წელზე ქამრები (ხალხს უკვე დიდა ხანა შემოჭირილი აქვს) და იცხოვრონ აღნიშნული თანხით. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ჩვენი ქამრები არ შემოწვდებათ...

შეცდა ხადური, მას რომ ეთქვა, ჩემო თანამემამულენო, თქვენ გაცილებით მეტს იმსახურებთ, გვაპატიეთ, ჯერჯერობით დანაპირები ვერ შეგისარულეთ, მაგრამ ასე არ იქნება, ქვეყანა წელში გაიმართება და ყველაფერი კარგად იქნება, ეს სულ სხვა საქმე იქნებოდა. მაგრამ მან სანიანალმდევრო თქვა – 150 ლარი საარსებო მინიმუმზე მეტია, მაგრამ იმ „მეტს“ მოწყალების სახით გადლევთ...

ვირტუალურ სამყაროში გადასახლებულ ხადურსა და ზოგ სხვა ხელისუფალს ხალხის ხმა არ ესმით. მინდა, მათ ჩვენი ისტორია შევახსერო: ჩვენი დიდებული მეფეები, ბატონი ტერიტორიაზე ხმა და სამეფო სამინისტროში მოინახოვდა.

იხდიდნენ, მდაბიოს ტანსაცმელს იცვამდნენ, ხალხში გადიოდნენ, მათ ჭირვარამს რომ გაცნობოდნენ, შეეტყოთ, ადამიანები რას ფიქრობდნენ საკუთარ მეფეზე. ამას აკეთებდნენ მძლეობამდე მეფეები, რომლებსაც მემკვიდრეობით გადაეცემოდათ სამეფო ტახტი.

ხალხს ადარ უსმენს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, რადგან ხალხზე ფიქრის ნაცვლად ძალაუფლებით ტებობამ გაიტაცა.

აქ გურამ დოჩანაშვილს მოვიშველიებ, ...ყველა მიხვდა თვითკაყოფილება როგორი ცუდია“. დას, თვითკაყოფილებას მოჰყვავა სურვილი განცხრომით ცხოვრების, ხელფასებისა და პრემიების გაორმაგების, ქირიად ლირებულ ჯაპებზე ტემდერების გამოცხადების...

თურმე ინგლისის დედოფალი იმის დროს ცეცხლს არ ანთებდა, ქვეყანას უჭირს და ამის ფუფუნება არ არისო...

საკუთარი კეთილდღეობით დაბრმავებულ ხელისუფლათა მანქანების დაბურული მინები ვეღარ ირეკლამს სხვათავად გამოცხადებათ, არამედ სულ სხვა რამ, უფრო მთავარი...

ცხადია, ხადურის „კვლევა-ექსპერიმენტი“ პენსიონერებზეა გათვალისწინებული.

მინდა, მას და მის თანამოაზრებს მივმართო, თქვენ პენსიონერები დაბალი ღობე ხომ არ გვინათ? ნუ დაგვაკინებდებათ, რომ პენსიონერები არიან მეცნიერები, ხელოსვების მუჟავები, საქვეყნოდ ცხობილი რეჟისორები, მსახიობები, მიმდევრები, მხატვრები, მოქანდაკები, მწერლები, შრომითა და გარჯით გამორჩეული რიგითი ადამიანებით.

კარგად გახსოვდეთ, მეცნიერება, ხელოვნება მარადისული ღირებულებებისა (დრო რომ ვერაცერს აკლებს) და თქვენ – ჩვეულებრივი მოკვდავები, რაც უნდა მაღალი თანამდებობა გეკავოთ, მათ სიმაღლეს ვერ შეწვდებით. მათ ბევრი თქვენგანი ვერ გაუტოლდება ვერც ინტელექტით, ვერც ნიგნიერებით...

თუ რა სიმაღლეზე საუბარი, ჩვენი დიდებული კონსტიტიუციები გამსახურდიას სიტყვებს გაგახსენებთ: „ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ თანამდებობა გეკავოთ, მათ სიმაღლეს ვერ შეწვდებით. მათ ბევრი თქვენგანი ვერ გაუტოლდება ვერც ინტელექტით, ვერც ნიგნიერებით...“

თუ რა სიმაღლეზე საუბარი, ჩვენი დიდებული კონსტიტიუციები გამსახურდიას სიტყვებს გაგახსენებთ: „ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ თანამდებობა გეკავოთ, მათ სიმაღლეს ვერ შეწვდებით. მათ ბევრი თქვენგანი ვერ გაუტოლდება ვერც ინტელექტით, ვერც ნიგნიერებით...“

შემოქმედი ჩვეულებრივი შემოქმედითი ცხოვრებით ცხოვრობს საპენსიონარის ასაკშიც: კომპოზიტორი ახალ სიმღერებზე მუსაბაძე, მათ ტატარ ხატავს, მწერალი წიგნებს წერს, მაგრამ, სამწუხაროოდ, გამოიცემის საშუალება არა აქვს (ყაბადალებული საარსებო მინიმუმის წყალით). არადა, შემოქმედმა თავისი სათქმელი უნდა მიიტანოს ადამიანებთან. ეს არის, შემოქმედმა თავისი სათქმელი უნდა მიიტანოს ადამიანებთან და სიკვდილთან შებრძოლობათ...

შემოქმედი ჩვეულებრივი შემოქმედითი ცხოვრებით ცხოვრობს საპენსიონარის ასაკშიც: კომპოზიტორი ახალ სიმღერებზე მუსაბაძე, მათ ტატარ ხატავს, მწერალი წიგნებს წერს, მაგრამ, სამწუხაროოდ, გამოიცემის საშუალება არა აქვს (ყაბადალებული საარსებო მინიმუმის წყალით). არადა, შემოქმედმა თავისი სათქმელი უნდა მიიტანოს ადამიანებთან. ეს არის, შემოქმედმა თავისი სათქმელი უნდა მიიტანოს ადამიანებთან და სიკვდილთან შებრძოლობათ...

შემოქმედი ჩვეულებრივი შემოქმედითი ცხოვრებით ცხოვრობს საპენსიონარის ასაკშიც: კომპოზიტორი ახალ სიმღერებზე მუსაბაძე, მათ ტატარ ხატავს, მწერალი წიგნებს წერს, მაგრამ, სამწუხაროოდ, გამოიცემის საშუალება არა აქვს (ყაბადალებული საარსებო მინიმუმის წყალით). არადა, შემოქმედმა თავისი სათქმელი უნდა მიიტანოს ადამიანებთან. ეს არის, შემოქმედმა თავისი სათქმელი უნდა მიიტანოს ადამიანებთან და სიკვდილთან შებრძოლობათ...

შემოქმედი ჩვეულებრივი შემოქმედითი ცხოვრებით ცხოვრობს საპენსიონარის ასაკშიც: კომპოზიტორი ახალ სიმღერებზე მუსაბაძე, მათ ტატარ ხატავს, მწერალი წიგნებს წერს, მაგრამ, სამწუხაროოდ, გამოიცემის საშუალება არა აქვს (ყაბადალებული საარსებო მინიმუმის წყალით). არადა, შემოქმედმა თავისი სათქმელი უნდა მიიტანოს ადამიანებთან. ეს არის, შემოქმედმა თავისი სათქმელი უნდა მიიტანოს ადამიანებთან და სიკვდილთან შებრძოლობათ...

შემოქმედი ჩვეულებრივი შემოქმედითი ცხოვრებით ცხოვრობს საპენსიონარის ასაკშიც: კომპოზიტორი ახალ სიმღერებზე მუსაბაძე, მათ ტატარ ხატავს, მწერალი წიგნებს წერს, მაგრამ, სამწუხაროოდ, გამოიცემის საშუალება არა აქვს (ყაბადალებული საარსებო მინიმუმის წყალით). არადა, შემოქმედმა თავისი სათქმელი უნდა მიიტანოს ადამიანებთან. ეს არის, შემოქმედმა თავისი სათქმელი უნდა მიიტანოს ადამიანებთან და სიკვდილთან შებრძოლობათ...

შემოქმედი ჩვეულებრივი შემოქმედითი ცხოვრებით ცხოვრობს საპენსიონარის ასაკშიც: კომპოზიტორი ახალ სიმღერებზე მუსაბაძე, მათ ტატარ ხატავს, მწერალი წიგნებს წერს, მაგრამ, სამწუხაროოდ, გამოიცემის საშუალება არა აქვს (ყაბადალებული საარსებო მ

զուտած բռնհման շնորհ - 75

ვულოცავთ ბატონ გურამ დოჩანაშვილს დაბადების 75-ე წლისთავს, ვუსურვებთ დღევრძელობას, შემდგომ შემოქმედებით ნარმატებს და ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდს მისი ცნობილი რომანიდან „სამოსელი პირველი“.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია

დღილაადრიან, დომენიკო და მოხუცი სანტოსი მდინარის ნაპირთან თიხასა ზელ-დნებ. სიამოვნებდა დომენიკოს დამყო-ლი თიხა, ხელის მტევნები ეგრილებოდა, მალიმალ ახედავდა კანუდოსის ცას – კი, ლურჯი იყო, მუქად მჭვირვალებდა, და-ხარბებული ნამდვილ, საღ ჰერს, თავს უკან გადაგდებდა დროდადრო მგზავრი, ფართოდ თვალებგადებული, ცასაც ისუნ-თქავდა თითქოს. ცას რა, – კრიალებდა... მერე, მზის გულზე რომ დასცხებოდა, უცვ მდინარეში ტანსაცმლიანად, წელამდე შე-დიოდა მგზავრი... მჭახე სიგრილისგან ზედ ყელთან ამოენეოდა და ეზღუდებოდა სუნ-თქვა, გაყუჩებული ეჩვეოდა ცივ, ჯიუტ ტალღებს, მერე თანდათან რბილებოდა წყალი, საამონ თბებოდა და, მთელი სხე-ული სრულ შვებას რომ მოსთხოვდა, ერთ-ბაშად გაღლალებული, თავით გადაეშვებო-და. მზეზე ბრჭყვალებდნენ დაფეთებული შეხეფები, მდინარეს ცურვით მიუყვებოდა დომენიკო, ხალისიანად ჭყუშპალაობდა; სამფენოვანი ქალაქით დაღლილს, დაძ-ბულს, თავმოძულებულს, აქ, ამ ზვირთებ-ში, თიხის ქალაქთან, ცელქობა სურდა... მდინარისაკენ ზურგით იჯდა მოხუცი სან-ტოსი, თიხას უმოწყალოდ ჭყლეტდა, რო-გორც ყოველთვის თავისას ფიქრობდა და, ვერა და ვერ გამოეგონებინა მასიმოს ღირ-სი, ყველაზე მეტად საზარელი სიკვდილი; მოქუფრულიყო, თეთრი, უხეში წარბები თვალებზე ჩამოსწოლოდა... მდინარიან გაღმიებული ამოდიოდა სიგრილითა და შვებით პირთამდე სავსე დომენიკო, მზეზე დგებოდა, შრებოდა მზეზე, ჯერ სიყრი-ფანა ნისლი ასდიოდა. მერე ღრუბლებში ჩამდგარიყო თითქოს – როგორ ღონივ-რად ორთქლებოდა მდინარის წყალი... ცვარშერჩქინლა და ჯერაც გაუმშრალს, კანუდოსის ქუჩებში ხეტიალი მოსწონდა, კანუდოსელთა ხილვა – თითქმის სუყვე-ლას მშვიდი, მართალი სახე ჰქონდა. უზე-ბურად თვალს თუ გაუსწორებდნენ ერთ-მანეთს, სიამოვნებდათ, თან – უილაჯორდ ილმებოდნენ... სისხამი დილით უხაროდა თავისი ახალი, ნედლი ქოხიდან ამბოიჯე-ბა დომენიკოს, გზად თანაქალაქელებს ესალმებოდა, ყოველივეთი იხიბლებოდა – სხვა წყალი იყო აქ, კანუდოსში, სხვა გე-მო ჰქონდა, სულ სხვა ჰაერით სუნთქავდა მგზავრი, სხვანარ სახლებს შვებით უმ-ზერდა, სხვაგვარ მინაზე ბედნიერი დაა-ბიჯებდა და უცნაური რამ დაემართა, ადა-მიანი შეუყყარდა – უცნაურობა სჭირდა! ინხენერის შესცეკროდა, ვთქვათ... შემას აპობდა მწყემსი, აუქჩარებლად ირჯებო-და – დიდ კუნძს მოსწორებულ ადგილზე დადებდა, ნაჯახს შემართავდა, ღონივ-რად დაიქნებდა, მერე ისევ მაღლა ასწევდა კუნძაყოლილ ნაჯახს. შეისუნთქავდა და დიდ მორზე ყუით დაანარცებდა, ორად ცალკევდებოდა კუნძი, აი, ამა საქმეში ხომ ისეთი დიდი არაფერი ერია, არა? – მაინც როგორი მაღლიერი, რა სიყვარულით უჭვ-რიტინებდა დომენიკო...

ადამიანი – ქალი თუ კაცი, ჩვილი, მოხუცი – ადამიანი, როგორც ასეთი, ნებისმიერი ამ ქალაქისა, ყველა უყვარდა... ან, ვთქვათ, სენობიო ლიოსას შორიდან უთვალთვალებდა, გვიან ღამით როგორ ჯდებოდა გამორჩეულ ხესათა, როგორ მიმართავდა შეიძლიამა საკრავს, და როგორ შეყოვნებული სიღინჯით კერავდნენ მჭედლის თითები ნაღვლიან მარცვლებს; ან გრეგორიო პაჩეკო გათენებისას დიდ, გუგუნა დოლს როგორ აახმიანებდა, თიხის სახლებიდან გამოდიოდა ხალხი და უხვფოთლება ხეში შემაღლებული დომენიკო შინიდან გამოსულ, ძილისგან ჯერაც საბოლოოდ თავდაულნეველ, ოდნავ დაუდევრად მომავალ კანუდოსელებს რა სიყვარულით, როგორი ლენიდი დასტეკეროდა, ენიწენებოდა თითქოს სხეული, ოჟო, კაქტუსი... შუაგულ სულში, სიყვარულის მჩხვლეტავ მცენარეს გაედგა ფეხესი... ასეთი ოთხი დღე ჰქონდა მხოლოდ, პირველ ხანებში დაბნეული აკვირდებოდა ყველას, ყველაფერს, მერე მოვიდა ეს ოთხი უცნაური, აღმაზევებლი დღე,

სულ ოთხად ოთხი, ცალი ხელის თითებზე
ჩამოსათვლელი, მაგრამ, მაინც, ზოგსასას –
– მთელ სიცოცხლეს სჯობდა... და საკვირ-
ველი მაინც ის იყო, ამ სიყვარულისა რომ
ერიდებოდა, ერცხვინებოდა, როგორც შე-
ეძლო, ისე ნილბავდა... პატია, უცოდველი
ქურდი, დომენიკო – სამუშაოს რომ მო-
ამთავრებდა, თიხის გუნდას გულისპირში
მალულად ჩაგდებდა და ვითომც არხეი-
ნად, ჯიბებებში ხელჩანყბილი, ხმადაბალი
ღილინით შედიოდა ჭალაში, იქ კი, სადმე
მყუდროში, დიდი ხის ჩრდილში შეიყუებუ-
ბოდა და თავკომბალა ადამიანს გამოუც-
დელი ხელით ძერწავდა, ცხვირს უწვეტებ-
და, ჩხირით თვალებს ამოულრმავებდა,
ირიბად გადაუ-
ხაზავდა პირს,
ხელ-ფეხს შეა-
ბამდა, და იმ უმ-
ნეო ნაჩალიჩარს
მერე, რომ გა-
მოერკვეოდა და
უცხო, ბურეს-
მოსილი ქვეყნი-
დან ქვემოთ, მინაზე დაეშვებოდა, გულ-
დაწყვეტილი დასცექროდა – აჲ, არა, არა,
სად ეს და ეჲ, სად ნამდვილი ადამიანი, მას
რომ უყვარდა; ადამიანი მაინც სხვა იყო,
სულ ძალიან სხვა – ნაღდი, ცოცხალი, და
თუმცა ძალიან სურდა, სულიერი რამ, მრა-
ვალთვისება, მისთვის ჯერ უცხო ადამიანი
მიერატებინა ამა ქვეყნად, მხოლოდ თავი-
სი მაძებარი გონებით ჩაფიქრებული და
საკუთარი, დაუღლელი ხელით შექმნილი,
ვრცელ, ტევად ქვეყანაზე საიმედოდ დაე-
სახლებინა, ამ აჩემებას მხოლოდ სურვი-
ლით ვერ გასწოდებოდა, რაღაც სხვა ხერ-
ხი, რაღაცის ცოლი, სხვა რამ უნარი იყო
საჭირო... გრძელ გზაზე იდგა, ამა საქმეში
ჯერ თოთ ბავშვი, ვერ გადაედგა ფეხი...
თიხა შრებოდა, იბზარებოდა, მომცრო ნა-
რალებდაჩენილი, ხელებგაჩაჩჩული, მინა-
ზე ეგდო... ვერ ელეონდა მაინც ნახელავს,
თავის გრილ ქაში ფრთხობად მიპქონდა
და მიფარებულში, ცოცხის ქვეშ დებდა.

და უზევეულო განცდის მოსურნებ, ვე-
ლარ დაიძინა მეოთხე დამით, წამდაუზუმ
გვერდს იცვლიდა, თივაზე წრიალებდა,
რაღაცა სურდა!.. ოთხევედელშუა ვეღარ
გაძლო და მდინარისაკენ ფეხაკრეფით
დაუყვა ბილიქს, მთვარის ნათელი სქლად
ეფინა გზაზე, მერე მცირე აღმართში, მდი-
ნარის სათავისაკენ გაეშურა, კარგა მანძი-
ლი აიარა. რომ მიიხედა, აღარ მოჩანდა კა-
ნუდოსი. ტანთ გაიხადა, ცალი ხელით მაღ-
ლა ეჭირა დახვეული ტანსაცმელი, მდინა-
რე ისე გადასცურა, გაღმა ნაპირზე შემ-
ცივნებული ავიდა, აძიგძიგებდა მგზავრს,
მაგრამ ძლიერი იყო ის უცნაური „გითომ“,
ბაგჟვობისდროინდელი თამაში... ოდნავ
რომ შეშრა, ტანსაცმელი სწრაფად ჩაიცვა,
მერე მოლუნდა, მინაზე განვა, ძლიერს წამო-

ნიკო, შინ რომ ბრუნდება... წამოიწია, როგორ არ სურდა გარდაცვალება სახლთან, კერასთან ასე ახლოს. ხელისგულებით დაეყრდნო თიხას, სველი თითქებით აატალასა და წამოდგომას შეეცადა, აი, თუ ადგა, თუ აიტანა როგორმე მაღლა დამძიმებული

სხეული ისე, ვითომ სული ეცლება, სულსა
დაფაებს... განამებული, მაინც დგება და მია-
ტორტმანებს; რომ არ წაიქცეს, საცოდავად
იძაბება და უცებ ისე ძალიან სწრაფად გა-
იმართა, კინაღამ შეხტა - დიდ, ჩამუქებულ
ხესთან ზე მორეირა იდგა, გულზე ხელებზე
გადაჭდობილი, დაკვირვებით შესცეკროდა
ატინგიცებულს, იცნო, თავი ჩაღუნა დომებ-
ნიკომ, ისე განითლდა, სახე აეწვა, თითებს
იგრიხავდა, ხელისგულებზე აიკორკოშა
თიხა, არც გაუგია, ისე მოიცილა. სახლის-
კენ მთლად წამხდარი გაემურა, ნირშეცვა-
ლილი, ფრთხილად მიწვა, სირცხვილისა-
გან თავზე გადაიიფარა თივა. გახევებული
იდგა ისევ ხესთან ზე მორეირა, ოდნავ
**სულ მცირედ გა-
იკირვა მგზავრ
რის ახირება
იმისთვის ძაა-
კი არ ეცალა
რადგან თავი
სი ვეებერლე-
რამ სადარდე-
ბელი აწუხებდა**

— ვითომ ეგრე აჯობებს? — შეეჭვებული
ყო დიდი მარშალი.
— კი, როგორ არა, მე მგონი, დიახ, გრან-
დისამოპალლე, — ალალმართალი ლი-
მილით შეაცექრდა ფუნჯის დიდოსტატი
გრეკ რიკიონ, კამორელი ხელოვანი, — ყუ-
რები მგონი უნდა დავუტოვოთ, დიდო მარ-
შალო, რადგან გარკვეული პროპორციით
შემოიზღუდება სახე, თვით სახეს კი სამა-
გალითოდ გადავუსწორებთ, რაკურსობ-
რივად, ეს უფრო დიდ ეცექტს მოგვცემს
ერთი თვალის ფოსმი, მაგალითად, ხელის
შეათითი ჩაგრაროთ, გრანდისამიპალლე
მეორეში კი — ფეხის ცერი, და ეს გარემოება
ბა თვალსაჩინო დისპოროციას შეიტანს
გვერდითა ხელუხლები პროპორცია კი, ან
შემთხვევაში ყურების სახით, უფრო ხაზს
გაუსვამს სახის შიდა შეუსაბაძობას, ტუ-
ჩების მოჭრა-ლიკიდაციაც სასურველია
კბილების გაშიშვლება სასურველ შედეგა
გამოიღებს ნატურალურად, გრანდისამი-
პოპალლე, რადგან გარკვეულ ასოციაცია-
ინვეცის.

„ნიჭიერია, ვიროშვილი“, - გაიფიქრა
მარშალმა ბეტუანკურმა.

- თუ მაპატიებთ, დიდო მარშალო, ერთი შენიშვნაც უნდა გამოვთქვა, თუ ნებას მომცემთ, ვთქვა?

– მიდი!

– თავი ბოლომდე არ უნდა მოგეჭრევის
ნებინათ... წკიცზე დაკიდებული უფრო ნა-
რუშლელ შთაბეჭდილებას დაიმსახურებ-
და. თუმცა, შეგვიძლია ახლაც მივაკეროთ
ოდნავ და ნაწლავებით მაგრად რომ გადა-
ახვევინოთ და მიამაგრებინოთ ამ ადგილას
ტორსთან, აჯობებს ნამდვილად, გრანატის-
სიმორჟალლე.

– კარგი.
გვამს ვერ იტანდა გრეკ რიკიო, აზიზი

გამართულიყო გრეკ რიკიო, წელს ასვენებდა, ნამუშევარს კმაყოფილი დააცერდა: — რა უშნო ყოფილა, არა, გრანდისი მოპალლე?

მოხუცი სახტოსი კაატიხგასთან ნაახე
და ტომარას, გულგასივებულმა ნახა, შიგ



რაც იყო და რადგან ისედაც არ იცნობდა
მანუელოს, ვერაცერს მიხვდებოდა, ტომა-
რაში ჩატანებული ორკუთხა, ვაკეიროთა
ქუდი რომ არა. ფრთხილად დაიღო მხრებზე
ტვირთი, მოშხამული გაუდგა გზას, კანუ-
დოსში აიტანა. მთელი ქალაქი შემოიკრიბა
სანტოსთან, გაირინდნენ, კარგს არაფერს
უქადათ სანტოსის კიდევ მეტად მოქუფ-
რული სახე; იმან კი მიწაზე ფრთხილად
ჩამოდიო ტვირთი, ტომარა გაფხნდნენ, შე-
მოაცალა და განზე გაიხედა. უჩვეულოდ
მძიმე სიჩქმე ჩამოწვა კანუდოსში, დედებს
ამოეფარენ ბავშვები, ბალდამჩალვრილი
მამაკაცები ძლიერ დამწუხრდნენ, ანატ-
კივარი სული ეფლითებოდათ და სიბრა-
ლულით დასცეპროდნენ მწყემსს – ვინ რა
იცოდა, მანუელი თუ როგორ მოკვდა...
მთელი კანუდოსი ცხედართან უზარმაზარ
ნრედ იდგა, ერთადერთი ზე კვლავინდე-
ბურად ვერ ბედავდა დღისით გამოსვლას,
მაგრამ იმ უჩვეულო სიჩქმემ ყველაფერს
მიახვედრა, ნაცრისფერი დაედო. წრე გაარ-
ღვია მოხუცმა სანტოსმა, ხალხს გაერიდა,
ნერაქი, ბარი, ნიჩბი მოიძია. სუნთქვაშეე-
რული მთლად გახვებული იდგა მანუელა,
ოღონდ მოკვნეტილი ტუჩიდან სისხლი სდი-
ოდა. კივილით არავის შეუცხადებია, არც
არაგნ ატირებულა. ტირილით მერე, გვიან
ლამით მოიხსეს გული, განმარტოვდნენ და
ისე; მთელ კანუდოსში მოგუდული, უცნობი
თანხმიტები ისმოდა. ახლა კი მდუმარედ
დასცეპროდნენ მხოლოდ, და ვერ გამართ-
ლდა მარშალ ბეტაკურის ჩანაფიქრი – შეძ-
რნუებასთან ერთად, მეორეს მხრივ, საო-
ცარია, მაგრამ, მუდამ ბრძოლისა და სიკვ-
დილის მომლოდინეთ, თვალმოშხამულებს,
სამაგიეროდ ერთი ამბავი გულზე მოეშვათ.
აი, როხასი, თუნდაც... ასე ფიქრობდა: „მე
რა, მე გინდაც მოკვდე, მე რა... აგერ, ასე-
თი მანუელოც კი რა ცუდად მოუკლავო.
იმასთან შედარებით მე ვინა ვარ, რო...“
„თანაც ბრძოლაში – თითქოს იმის ფიქრს

გახავგრძობდა ოხოსეიონ, – სიკედილი, ალ-ბათ რამდენად უფრო ადვილია... ყოფას გოტირებთ!“ მეტის მეტებით, ვერ გამოზომა მარშალმა ედმონდო ბეტანკურმა განზრახვა, კამიორულმა გამოცდილებაშ უკარნახა ამგვარი საქციელი, მაგრამ სხვა წყობის, სულ სხვანაირ ხალხს რომ გადააწყდა, ეს არ იცოდა, ვერ წარმოედგინა – არ გაუმართლდა. შიშის ნასახიც გულში არავის გაუვლია, დამწუხრებით კი, დიდად დამწუხრდნენ. შემოჯაარულთაგან ყველაზე მეტად მაინც ჟოაო იტანჯებორდა – ხმას არ სცემდა მხიარულ სიძეს, რაღაცნაირად ლამაზს, მოხდენილს. აქამდე ერთთავად პირს არიდებდა და ახლა კი, უმოწყალოდ დასახირებულს, თვალს ვერა სწყვეტდა... ვეღარ მოითმინა. მიუახლოვდა, დალონებული დააცეკერდა, გადააქნია თავი, მერე ოდნავ მოიხარა, ბარძაყზე ლონივრად დაირტყა ხელი და უცნაური წამლერებით თქვა: „ჲჲ, მანუელო კოსტა, მანუელ...“ – და წრიდან თავჩაქინდრული გავიდა, მერე სენობით ლიოსა მივიდა ცხედართან, იმანაც ბარძაყზე დაირტყა ხელი, იმანაც კუმტად წაუმდერა: „მანუელო კოსტა, მანუელ...“ და, რიგრიგობით, ყოველი მამაკაცი ასე გამოეთხოვა დაფლეთილ ცხედარს, თივაში პირექვე ჩამხობილ ზე მორეკას გარდა. და როცა ყველა გამოიკიბა, გაუბძარაგმა მენდეს მასიელმა თვალის ფოსოები დინჯად ამოუცარიელა მანუელის გვამს, გადახვეული ნაწლავები შემთაცალა, ასე თუ ისე, მოაწესრიგა ცოტა, გულზე დაადო ვაკეიროთა ქუდი, მოხუც სანტოსს კი კარგა ხნის გათხრილი ჰქონდა სამარე. ფრთხილად ჩანვინეს მიგ მანუელო, და თითო-ორილა მუჭა მიწით საფლავი ამავასეს და ასე, მუჭა-მუჭად. მსუბუქი იყოს კანუდოსის ასეთი სიღრმიდან პირველად ამოთხრილი მიწა.

ეჭ, მანუელო კოსტა, მანუელ...

ცირა ვებგვარა

„შეყვარებული შექსპირის“ ნახვისას

ჩამოვისენი სამკაული ნაირ-ნაირი,
შემოვიძარცვე იქრომკედი და ნაქარგები,
თალხი სამოსით ბენელ დამეში ჩავიკარგები
და მოლოდინით ათრთოლდება ლურჯი ჰაერი.
ნებალმა ნაიღოს ჩემი ნიჭი და სილამაზე,
ზღვაგანძეული, უწმინდესი ჩემი სახელი!
ოლონდ მესმოდეს სიყვარულის მძლავრი ძახილი –
განვეშორები სიხარულით მბრძყინავ დარბაზებს.
ჩემი საქმროა, მამის ნებით, ამაყი ლორდი,
მე კი მხურვალედ ველლოდები ცეცხლოვან ჭაბუქს,
არ ძალუს მისი შეჩერება საშინელ ქარბუქს,
მოვა და კოცნით დამავიწყებს მტანჯველ
მოლოდინს...
ღამე ჩვენია, სიყვარულის მაღალ უფლებით,
ჯანდაბას, თუკი განთიადზე დავიღუპებით!

ნატვრა

მატარებელს თვალი გავაყოლე –
ახლა შიგ ვიჯდე და მივდიოდე,
მხლებლად მომყვებოდეს გულისტოლი,
შემკრთალს მზის ლიმილით მიღმოდეს.
საით მივდიოდეთ? – სულ ერთია, –
ბოლო სადგურ სულეთია.
რაზე ვსაუბრობდეთ? – როცა გიყვარს,
თაფლად გენვეთება ყველა სიტყვა.

შენთვის სიკვდილი მომინდა

აიმ ქარს ჰეითხე, რაი მჭირს,
იმან და წვიმამ იციან,
შენთვის რო თვალი მომექრა,
რამდენი დილა მიცდია,
რამდენი ღამე ვათიე
შენზე ფიქრით და გლოვითა,
ცათ გავარისხე უფალი
ერთხელ დანახვის წილითა.
ბოლოს რო ნატვრა ამიხდა,
თვალი შეგასწარ გორითა,
შენთან სიცოცხლე კი არა,
შენთვის სიკვდილი მომინდა.

ცხენის თქარუნზე ვიცანი

წყაროზე წავე მარტოი
შიბით მორთული კაბითა,
ნიავი შემომეგბა
ტკბილად სასმენი ამბითა:
მოვალის შენი ყველაი
თავისის ციხე-ქავითა,
საომრად გამზადებული,
ბედაურითა შავითა,
წინ გადაუდექ მწყურვალეს,
წყალი შასვი ჯამითა,
უთხოდე შაქარსიტყვები,
გულს ნუ მოუწყლავ ჯავრითა.
ღანვზე ყაყაჩო ამენთო,
თვალი ამევსო ნამითა,
სხეული ვინამ შამიკრა,
გული დავლალე დავითა:
ვერც ფეხი დავძარა, ვერც ენა,
ვერც ავიხედე წამითა,
ცხენის თქარუნზე ვიცანი –
ჩამიქროლა და წავიდა.

აგირან დოლაძე

●
მე არ მზრდიდა ლაო ძი და კონფუცი და
მე ვარ წიდა.
მე არა მნამს არც ბუდა და ალაპი და
ტალაზიდან წარმომზნილი
შავ მინიდან ამოზრდილი
ბალაზი ვარ, არყოფნიდან
კვლავ ყოფნაში სახეცვლილი.
შენი ხელით ჩამოქნილი
ერთი ციდა სანთელი ვარ ცვილის.
მიხარია, მეც მიმიდლვის მცირე წვლილი.
მე ვარ მნათე შენი დილის, შენი ცისა

და მე ვტირი, ჩემი ცრემლი
ისხარია მაისისა
მისხალ-მისხალ ჩამოლვრილი
ამღვრეული ციდან.
მე ვარ წიდა,
ხე ვარ, შენგან ხელდასხმული,
ყველ სისხამ
ვყვავილობ და ნაყოფს ვისხამ.

●
ხეალიდან,
რომც ჩადგეს ქარიშხალი და
რომც გამოვიდეს ტაროსი, –
თებროლე მხარზე კოკითა
არ ჩამოვლის წყაროზე
ნარნარითა და როკვითა.
ტყუილად მოჩეუფ, დურუჯო,
ვედარ ჩამოპან გიმრის თმას,
ანტალის მზე ურუჯაეს
ტანს სადაფსა და ყირმიზსა.
ხავერდივით რომ ბიბინები,
მოლო, ამაოდ მოელი
ნაცნობ სიტფოს და სილბილეს
სურვილსატანილ ირმისას;
იმისი ყურის ბიბილოს
თაფლში გაქნილი სიტყვებით
ეჩურჩულება ურკულო,
ლოცვებს უკითხავს მაგიურს;
მისი საღუქი სხეული
ქართული გენის მაგიერ
სხვა თესლს აღვივებს წიაღში;
ალარცვნ ცრემლებს შეაშრობს,
არცვისი მომედეა;
დადალეს მწარე წყევლითა,
განირეს, როგორც მედეა.
ხეალიდან,
რომც ჩაცხრეს ქარიშხალი და
რომც გამოკეთდეს ტაროსი, –
თებროლე მხარზე კოკითა
არ ჩამოირჩენს წყაროზე
კისკისითა და როკვითა.

ჰიო, დედანო, დედანო! –
ქვითინებს ბერი ქედანი.

გულს მოუსმინე

რისი მთქმელია გაცვეთილი სიტყვა – „მიყვარხა“,
ჩემს გულს უშმინე გულისყურით,
გულის ნათქვამს გული ალიქვამს;
როდესაც გული ლაპარაკობს,
ბაგენი დუმან,
ვერ გამოსცემენ გაქვაგებულ შორისდებულებს,
გულის სიღრმიდან რომ ამოდიან.
ყოველი სიტყვა უძლურია,
რადგან ამ განცდას,
ვულგანივით რომ თუხთუხებს ჩემში,
მაინც ვერ იტყვის,
ვერ გამოსახავს სწორედ ისევე,
როგორც წყალში ტაშს ვერ დაუკრავ
ანდა ჰაერს ვერ ჩაიხუტებ!
გულს მოუსმინე გულისყურით,
ყურები ცვილით ამოიგმანე,
ხოლო თვალები
ქუთუთოების დილეგებში
ჩაამწყვდიე, რომ არ გაცდუნონ!

რევაზ ტატალაშვილი

მნამს ერთი ღმერთი

ხან უგრილესი წვეთი ვარ ცვარის
და ვეფერები ფოთლებს ამ ხეთა,
ხან ავდულდები, როგორც მაჭარი
და ასფუთიან ქვევრებს დავხეთქავ.

ხან გავიჭრები ველად მიჯნური
და დულსინებას ვეძებ მაშვრალი,
ხან ხერთვისივით ვარ გარინდული
და ქარში მცვივა ლიბოს ნაშალი.

ხან ტკივილები სულში კვნესიან,
ყევარ ხარივით მინდა განევა.
მნამს ერთი ღმერთი, ერთი მესია,
ასე იყო და ახლაც ასეა.

მერე ყველაფერს ვიწყებ თავიდან,
თავიდან უნდა კოშებს შენება,
თორემ ცხოვრება ისე გავიდა,
არსად არ არის ჩემი ხსენება.

თხემით ტერფამდე, სულით ხორცამდე
მსხვერპლად მივიტან სიცოცხლეს მასთან
და ვიმარტვილები, როგორც მონამე,
ასი ათასი მოწამის მსგავსად.

ხან სევდიანი ჩამოჰკრაგს ზარი,
დღენი სკდებიან სულში ნაღმებად,
ხან ავდულდები, როგორც მაჭარი,
და ასფუთიან ქვევრებს დავხეთქავ.

ნოსტალგია

დასთენებია, მთვარეს თავზე დასთენებია,
იცონებიან თივის ზვინთან ლომა ხარები,
მოგონებათა გრძელი წყება ამდევნებია,
წყლის ნაპირიდან ჭინებივით მოხარხარებენ.

ხტიან ფაცერში დაწინწელული კაპუეტები,
ხის ნაპრალიდან საცოდავად მოთქვამს ჭრიჭინა.
როგორ სჭირდება ამ მიდამოს ხმა პოეტების,
დაამშვენებდა მეთევზეთა ველურ ყიუინას.

ვინწო ხიდის ქვეშ, სოფლის გზაზე ღელე ანჩხლდება,
გვირილების და თივის სუნი ჰაერს აჯერებს,
ურემს მიუძღვის მგლისმუხლება ბაბუაჩემი
და გაბმულ კვნესას მოგუდულად მიმოამდერებს.

აიზლაზნება ალაგ-ალაგ კერიდან კვამლი,
ცისკრის ვარსკვლავი დაადნება ეზოს და ყორეს,
სიჩუმეს ფარდას ჩამოაგლეჯს ყივილი მამლის,
ფეხის ბაჟუნი აუტყდებათ ახორში ხბორებს.

ასწლოვან ხეზე ჩიტუნები დაფეთდებიან,
გადაუფრენენ ორლობებს დილის ქარებად,
დასთენებია, მთვარეს თავზე დასთენებია,
იცონებიან თივის ზვინთან ლომა ხარები.

შეწყალების სონეტი

უფალი, შენგან ბოძებული წლები ზღაპრული
ფეტვის მარცვლებად გავატანე ქართა ქარება.
არც შური მელავდა მოყვასისა, არც ანგარება,
ლექსით, ქალით და სამშობლოით ვიყავ ზაფრული.

ოღონდ, ეგ არის, შენს სიდიდეს ვერ მივეახლე,
შეიდ საიდუმლოს ვერ ვუშალე სულში კარვები,
ენა თუ მიწყივ ადიდებდა წმინდა შენს სახელს,
მაკვარანცხობდა ფიქრი ჩემი გაუთავებლივ.

იყო ბრძოლა და უსასრულო გულმდუღლარება,
წამიდან წამზე მეცვლებოდა სულის ხარება,
ყურს რომ ატკბობდა უნაზესი ჰანგი ციური,
აღმიტაცებდნენ სიამენი ამქვეყნიურნი.

ლოცვის მაგიერ ლექსი გკადრე მადლის მთხოვნელი,
ეულს და უგვანს მომიტევე ცოდვა ყოველი!



სროლა შორიდან მოისმოდა: ყოველ გასროლას შიგადაშიგ გრძელი ჯერი ენაცვლებოდა.

ტაგუმ ბარი მიწაში ღრმად ჩაარჭო, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მიაყურადა. „ალბათ ხალხს ხვერეტენ – ვინც გაქცევა ვერ მოასწრო ან არ ისურვა.“ ჩვენმა ჯარმა ხომ კარგა ხანია დატოვა აქაურობა, მეთაურებმა სხვებზე ადრე უშველეს თავს. ცას ახედა: შორს, ზღვის თავზე, გრძელ მწკრივებად მიფრინავდნენ წეროები. სევდანი მზერა და ფიქრი გააყოლა: „მიდიან, ზოგი ვერც მიაღწევს, ალბათ; ბევრი ვეღარ დაბრუნდება გაზაფხულზე“.

სროლა ისევ მოისმა. ერთი წერო მწერივს მოსწყდა და ნელი ფარფატით ზღვაში ჩაეშვა. დაენანა უაზროდ მოკლული ფრინველი. „წერო რა გასაკვირია, ადამიანებს ალბათ ინდობენ. ჯერ შორს არიან, სანამ მოვლენ, მოვასწრებ – უკვე მეერდამდე მწვდება. მერე მოვიდნენ, თუ უნდათ. ისე როგორ გამინერება ღმერთი, ორიოდე მაინც ვერ წავიმძღვარო. მიწას მომაყრიან, ალბათ, აბა, რას იზამენ, წყეულები“. მუშაობა განაგრძო. საფლავი თანდათან ღრმავდებოდა.

უცრად ზურგს უკან ნაბიჯების ხმა მოესმა. ბარს ხელი უშვა და სწრაფად მიტრიალდა. ავტომატიანი ახალგაზრდა ჯარისკაცი წამოსდგომოდა თავს. ტაგუ შეცდა, ასე მალე არ ელოდა. სინაზულით გახედა მოშორებით ხეზე დაკიდებულ განუყრელ „კალაშნიკოვს“. საკუთარ თავზე გაბრაზდა, რატომ აქვე არ დავდეო. „ბებერი ბაქია! ტრაბაზით ლამის ქვეყანა ავიკელი, ახლა კი ჩემივე ხელით გათხრილ საფლავში უნდა ჩამკლან, როგორც უკანასწერელი ლაჩარი! ახია ჩემზე, ახი!“

– რაო, მოხუცო, შენივე ხელით ითხრი საფლავს?

– აფხაზური აქცენტით რუსულად თქვა მოსულმა.

ტაგუს უარესად დასწყდა გული – რატომძაც, აფხაზის არ მოელოდა. ეგონა, რუსები მოაკითხავდნენ, ჩრდილოკვეთის ბაგრამიანელები – მათ დასახვედრად შინაგანად მზად იყო, მაგრამ... მას არც აფხაზის სისხლის დაღვრა სურდა, არც აფხაზის ხელით სიკვდილი. ტაგუსთვის აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორიც მეგრელი, კახელი, სვანი... ეს ომიც რუსებისა და ქართველების დაპირისპირებად მიაჩნდა. ერთადერთი ვაჟიც ამ რწმენით გაუშვა საომრად. ბიჭი სულ მალე დაიღუპა ტამიშთან. შვილის სიკვდილს დედამ ვეღარ გაუშლო და დარჩა მარტოდმარტო მოხუცი ტაგუ. ცოლ-შვილი ეზოშივე დამარხა – მათ შუაში თავისთვისაც მოინიშნა საფლავი.

სოფელი გაიხიზნა. ბევრს ეხვეწნენ ნათესავები და მეზობლები, მაგრამ წასვლაზე ვერ დაიყოლიეს.

– საკუთარი ხელით საფლავის გათხრა აფხაზებსაც კარგად გემარჯვებათ, ყვანვილო! – ტაგუს პასუხში საყვედლურიც იყო, ნიშნის მოგებაც, წუხოლიც.

ბიჭი ცოტათი აიმრიზა, თქმით კი არაფერი უთქვამს. დიდხანს მდუმარედ იდგნენ დამხვდურ-მომხდური: ერთი – საფლავში, მეორე – საფლავის პირას. თვალი თვალში გაეყარათ, თითქოს ერთმანეთს ზომავდნენ. ყოველი წამი საუკუნედ ეჩვენებოდა ტაგუს. უკვირდა: რალას უცდის, რატომ არ მესვრისო. ნუთუ ჩემი ტყვედ აყვანა გადაწყვიტა. არა, ეს მეტისმეტი იქნება. ყოველგვარ წამებას ავიტან, ოღონდ შეურაცხმყოფელ ტყველობას – ვერა.

მაგრამ მოსულმა უცდებ სულ სხვა უთხრა სხვა კილოთი: – ამოდი მაღლა, ძია კაცო, ეგ საფლავი არსად

გაგექცევა. სტუმარი მოვედი, ქართველ კაცს როგორ ეკადრება მაგნაირი მასპინძლობა.

ტაგუმ ვერ გაიგო, დასკინოდა თუ სერიოზულად ეუბნებოდა, ამიტომაც განურჩეველი კილოთი მიუგო:

– არც აფხაზს ეკადრება მაგნაირად სტუმრობა, – ავტომატზე ანიშნა. აფხაზს უხერხულად გაედინა, ავტომატი მოისხნა და ტაგუს „კალაშნიკოვის“ გვერდით ჩამოკიდა. ისევ საფლავთან მივიდა, რაც ნიშნავდა, არაფერს გერჩიო. ტაგუ ერთბაშად ნდობით განეწყო ამ ახალგაზრდისადმი, განსაკუთრებით „მია კაცო“ ეთბილა. „ეგ საფლავი არსად გაგექცევაო“, – სულაც არ მიუღია მუქარად. მაინც ვერაფრით აეხსნა აფხაზის უეცარი ფერისცვალება.

* * *

ტაგუმ საფლავის ქვაზე სავსე ხელადა ჩამოდგა.

– ბევრი დრო არ გვაქვს, – თქვა სტუმარმა.

– სად გეჩერება? – ჰკითხა მასპინძელმა.

– სადაცაა, მოვლენ.

ზურაბ გურგეგიანი



– მი სხვაა, თუ არ დაასწარი, მოგვლევენ.

– გამოდის, ომში შიშის გამო კლავენ.

– კი... ისე, გააჩნია ...

ტაგუ ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა „გააჩნია“, მაგრამ ალარ ჩამიებია. ისევ დაასხა.

– მოდი, ამ ჭიქით ვინატროთ, რომ ერთმანეთისა აღარ გვეშინოდეს.

– ეგრე იყოს, – ჭიქა მიუჭახუნა ახრიკმა.

– ტაგუ ბიძია, ამ საფლავებში ვინ მარხია? – იკითხა მოულოდნელად

– ჩემი ცოლ-შვილი.

– შვილი?

– ომში დაიღუპა.

– სად? როდის?

– მარტში, ტამიშთან.

აფხაზი ღრმად ჩაფიქრდა. წელანდელივით თვალებში უყურებდა მასპინძელს.

– სურათი ხომ არ გაქვს მისი?

ტაგუმ შვილის გადიდებული სურათი გამოუტანა სახლიდნა.

ახრივი ხან სურათს უყურებდა, ხან ტაგუს. მერე თავი ჩალუნა და ღრმა ფიქრებს მიეცა.

ღრმად ჩაფიქრდა ტაგუც...

„როგორ იყო?“ – ფიქრში ჰკითხა ბიჭს.

– დაგალებაზე გაგვგზავნებს მე და ჩემი ძმა. მოულოდნელად გადავეყარეთ. დაგვასწრო, ჩემი ძმა მოკლა. მე არხში ჩავნექი და იქიდან ვესროლე. აბა, რა უნდა მექნა? ძმა მომიკლა... ჩემს ადგილას შენ რას იზამდი? – კითხა შეუბრუნა ახრიკმა.

– მეც ეგრე ვიზამდი, – თქვა ტაგუმ. – მერე?

– თვალებში ჩავხედე მომავდავს. წელან თევენ რომ შემოგხედეთ, ის თვალები გამახსენდა. იცით, რა მითხრა სიკვდილის წინ? ოღონდ სიტყვით კი არა, თვალებით: არ მინდოდა, მაგრამ შემეშინდა, თევენ არ დაგვესწროთო. ასე მითხრა, დედას გეფიცებით.

სტუმარმა ჭიქები შევასო და ჩუმად თქვა:

– ამათი ხსოვნისა იყოს.

– იყოს, – გაიმეორა ტაგუმ და ღვინო მოსვა. – უკვე დროა, ჩვენ ჩვენსას ვენიოთ. აბა, შენ იცი, ახრივ, აქაურობას როგორ მიმიხედავ!

* * *

სოფელში ატენილა ხმაურმა ტაგუ გამოარევია, საკაოს დააბრუნა. გაბმულად ისროდნენ. გუგუნებდა, გრიალებდა ცეცხლში გახვეული სოფელი; ყურადნენ უპატრონოდ დარჩენილი ძაღლები.

საფლავის ქვაზე სავსე ხელადა იდგა. ტაგუმ აიღო, მცირეოდენი შემოუტენა დააქცია, დააქცია სულმოუტენად დალია.

გზაზე „ბეტერი“ გაჩერდა და რამდენიმე ფორმიანი გადმოვიდა. ფრთხილად მიუახლოვდნენ ჭიშკარს. ავტომატშემართული ტაგუ საკუთარი ხელით გათხრილ საფლავთან იდგა და ჭიშკარს უმიზნებდა. მხარზე ხელის შეხება იგრძნო.

– ეს საფლავი ორივეს გვეყოფა, ძალა კაცო, – აფხაზური აქცენტით რუსულად უთხრა ტაგუს ბიჭმა და იმანაც ჭიშკარი ამოიღო მიზანში.

ეპლეზიცი

რე. რამდენი ხანია, ერთად ჭიქა არ აგვინევია, პური არ გაგვიტეხავს ერთად. ამაღამ მცირედზე მაპატიე

– ჯალაბი შინ არ მყავს, ხვალ კი საკლავს დავკლავ, მეზობლებს დაგიპატიუზებ, ერთი კვირა არსად გაგიშვებ.

– აგრე იყოს, გურმაჩ.

– რას გავს შენი საციიელი, როსტომ, სუფრასთან იარაღით ჯდომა სადაური წესია?! მასპინძელმა რომ რამე იეჭვოს?..

– არ იეჭვოს, ფიცევერცხლისა სჯერა, მენდობა.

– რა უცნაურად იქცევა შენი სტუმარი, გურმაჩ, – სუფრასთან იარაღით ჯდომა სად გაგონილა?...

– არა უშავს, თუკი ასე უნდა, იყოს.

– რაღას უცდი, როსტომ? ენიე საქმეს, სანამ ა

საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ განცხადების მიხედვის მიზანი არ არის მთავრობის მიერ განცხადების მიზანი.

მარადიული

ამოგორდება მნათი ციური,
მუდამ დროული, კონსტრუქციული;
ეს წრებრუნვაა მართლაც ღვთიური,
ცოცხლებისათვის ყოველდღიური,
ხოლო მკვდრებისთვის მარადიული!

მაინც, რას ნიშნავს კაცთა გენია,
ის უფლის ნებით მნათად შთენია,
კოსმოსის მტვერი მხრებს დაგვიფენია;
ვარსკვლავთ მდინარეს რაც უდენია
მემატიანეს თუ უწერია?!

შუთისოფლის სამდურავი

შემომხევია ბორჯის ბურანი,
ნისლის წაუშლია სურათ-ხატები;
სოფლის სიმწარით და სამდურავით
ტლუ, უთვისტომო დავეხეტები!

სიყმაწილიდან მჟღერი ეუვანი
მკერდზე მკიდებდა სევდის კაეშანს,
მაკრაზანებდა დღე – აპეზარი,
რომელმაც ბოლოს თავი აიშვა.

თურმე ტანჯვაც კი შინაურდება
თუ გაუცვდება მიმინოს ჭანგი,
აიძლება და უხმოდ ბრუვდება
სიმებდამწყდარი პოეტის ჩანგი.

მომძალებია მხოლოდ ურვანი,
არ ჩანს იმედის მისხალ-ნასახიც,
სოფლის ტკივილი და სამდურავი
დამქცევად მერგო
ტრფობის სასახლის!

დარღი – ცხელი ტყვიის გულა

ფრთონავს ფიფქი...
ვაკეს ფარავს
თოვლის თეთრი სუდარა;
სულ ჩამესმის წირთხლის კარად
შენი ჩუმი მუდარა:

– ყურადღებით იყავი და...
ბიჭი, ასკერ ჭკვიანად;
ნახე? უცებ ვინც წავიდა,
ყველამ დაიგვიანა!
ან ამ სიტყვებს ვინდა მეტყვის,
ხმას ვინ გამცემს ნეტავ?
დამელენა უამის ეტლი,
გზები ჩამეცეტა!
თავად უსმენ თოვლის შრიალს
ლოლუებად ქცეული,
შეენივთე მინის წიაღ
მთელი გრძნობით, სხეულით!
ვაყურადებ, გარინდულა
ზესკნელიც და ქვესკნელიც,
დარდი – ცხელი ტყვიის გულა –
გამიხადე ფერმწერი!

აზრი არ აქვს გათენებას,
თუ არ ვისმენ შენს ნათქვამს,
მწუხარება ნება-ნება
მორიგ დღესაც შესანსლავს!

...თოვს!
ფიფქების ყაისნალით
იქსოვება ყოველი;
დამლენვია ლოცვით დაღლილს
ჩემი სვეტიცხოველი!

ვერ აუსენია

წყაროს მირაჟო –
დაჭრილ ირემის...
ირემს ბლავილი არ ეძრახება,
როცა სამყარო ნისლში ირევა,
უჩინარდება ყველა სახება.
ვის მიექსოვოს ხსოვნის ძაფებით
ამდენი ჭირხლის ერთად მხილველი,
თუკი სიშმაგით, ქარგამაფრებით

რიორთო ივანიშვილი

მკერდზე ეცემა უფრთოდ ფრინველი.
ირმის ყვირილი მოთქმის ტოლია,
დაეხეტება ხევ-ლრე მარტოკა,
მისმა სიზმრების ანატომიამ
ხედავთ? თოვლებაპიც ველარ გასტოპა!
სერავს ჭიუხებს გულდაკოდილი,
ამაო უჩანს ხმობა ცალისა,
დღეს ჩაკირვია გენში კოდივით
აღიარება წარმავალისა!
თურმე უცაბედ დიდი მოთმენის
უამი განელტვო –
ყინვის ყანიმით,
ეშხში შხული ისმის არწივის
და შიშისაგან თრთიან ფოთლები!
არწივაც არ ჰყავს მწე და მრჩეველი,
ალალბედზეა,
ყოფა ეგ არი?
სანუთოს არსი გაურკვეველი, –
ცოცხალთვის რჩება გაუგებარი!

ნუ შეეცდები, სიმდიდრე ნახო,
პატიოსნება არის მთავარი,
ბანია ეზო, ვენახი, ახო,
წვიმისას ოდის მჟღერი ყავარი!

ნიჭს დაანათლე შრომის წყალობა,
ეს შეგონება ძველზე ძველია,
ნუ მოსთხოვ ბულბულს სტვენა-გალობას,
ის ხომ ისედაც მგალობელია!

დღეს – სიცხადეში

არ იყო ეგ გზა ჩვეულებრივი,
მძიმე გახლდათ და ნარ-ეკლიანი;
მას უამარავი ჰქონდა ჯებირი
აღმა და დაღმა მორევთ წრიალით!

არავინ გვყავდა მწედ და მემინდედ,

სარეკელობდა ისლის წისქილი,

ჩვენ ვიდახოდით:

– ღმერთო, შეგვინდე,
რადგანაც ჩვენაც გვქვია ღვთის შვილი!
მცირეზე გულით გავიხარებდით,
ერთგულად ვზიდეთ მძიმე უდელი,
არ შედრკა ქედზე ქედი ხარების –
გვერჩოდა ძალა შეუზღუდველი!

გულმიცემულად წიგნი ვაგროვეთ

და არა ფული,

ოქრო ან ვერცხლი,

ჩვენი გულისთქმა ბევრს გავაგონეთ,

არ დაგაკელით კერიას ცეცხლი.

ტრადიციები არ დაგვიომია,

(დღეს არად უჩანთ ტრადიციული!)

ქრისტეს მცნება და საღმრთო ბიბლია

მიგვაჩნდა მნათად მართლაც ღვთიური.

ეცანდნენ კილვას, თუმცა აბაოდ!

პირველას ინერდნენ ჩვენი მხილველნი,

დაჭრილებს უმალ ვცხებდით მალამოს

თანააღმობის, ძმობის სახელით!

უხასიათო და უხიაგი

ნერვებს გინენდი კაცი – ფარსაგი;

მერე კი დილის შუქის ცრიატით

არ გემჩნეოდა წყენის ნასახიც!

ქვეყნად არავინ არა მეგულვის

შენებრ კეთილი, სათნო, დამთმობი,

როგორ არ უნდა ვიყო შეძრული,

როცა ჩამიქრა მე ეს მნათობი!

თვალებს მიჩრდილავს შავი სუდარა,

ცრემლებმა ვეღარ გაფლითეს აფრა,

არ გემის ჩემი ხვენა-მუდარა,

რასაც განვიცდი ყოველ წუთს მძაფრად.

სულის შებერვის ნამდვილი ღირსი,

რა ვქანა, საჭიროდ ვერ მოგიარე,

ახლა გრძნიალებ, ნეტავი რისოვის,


ხომ არ მივმართავ ცრემლის პიარებს?

ო, არა, არა! გოდება სულის

იმ ჩავლილ დღეთა მონაწურია:

მარტოდ შთენილი ან გარდასულის –

მე შენთან ერთად ხილვა მწყურია!



უმარავესი კი, მხოლოდ ეს არის!

ღმერთმა გვასესხა წუთი-სოფელი –

ზოგს ერგო მეტი,

ზოგს კი – ნაკლები

და სანამ გვეკვია მზეზე მყოფელი,

არ მოგვცილდება ჭანგი ამკლები!

დინზავრის კვალს თუ ვერ დავტოვებთ,

კაცობის დაგვრჩეს ნაფეხურები,

დღე რომ დღეს ერწყმის,

დროს უპატრონე

და განიკურნე წყლული სრულებით!

— მიდი, მიდი... დაარტყი ბურთს! აქეთ, აქეთ!..

ბოხი, ოდნავ ჩახლერილი ხმით გაჰყიროდა ასე ორმოცდათ წელს მიტანებული კაცი და ფეხშიშველა, სახელოებ-შარვლისტოტებაკაპინებული პატარა ბავშვებთან ერთად მოედანზე დაბობდა.

— უჟ, შენი... არ ააცილა?! — შეიკურთხა ბიჭქა.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, ხომ იცი, გინება არ მიყვარს! — დაბუბუნა კაცმა. წუთით შედგა, შუაგულ მოედანზე გაილავა, გაოფლილ შუბლზე ხელი გადაისვა, ხალათის ღილები შეიხსნა და მერე ჩვეული სიცაფით ბურთს აედევნა. მოედანს ირგვლივ კორპუსები შემოჯარვოდა. შენობებიდან სეირის მოყვარულები იყურებოდნენ.

— გასკდა თავი ამ ბურთის ბათქა-ბუთქით. არ ადევნებია ამხელა კაცი ღლაბებს?

— გიუია, უბედური! — ახლა ფანჯარაზე გადმომდგარმა მეორე ქალმა დაიძახა.

— ბებოვლათია...
— ოფოფები ჰყავს თავში...
— მწყრები... — გაისმა აქეთ-იქიდა.

— იცი, რა? — წაეპოტინა ხალათზე ფეხშიშველ კაცს პატარა ბიჭუნა და ცრემლნარევი ხმით წასჩურჩულა: — შენზე თქვეს... აი, იმათ...

— და აივნებისენ გაახედა. კაცი შეჩერდა, ბიჭს თვალებში ჩახედა და უსიტყვოდ ჰქითხა:

— რა, გიუიაო, ხომ?! — ღიმილი აემღვრა. ხელი ჩაიქნია და მოედანს გაეცალა.

მაგრამ სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები ყოველ ნაშუადლევს შემოდიოდნენ მოედანზე, ყოველ ნაშუადლევს მოდიოდა ფეხშიშველა კაციც და იწყებდნენ ფეხბურთის თამაშს.

ამ კაცზე ბევრ უცნაურ ამბავს ჰყავებოდნენ... თურმე ერთ დილას, ალიონზე, მოედნის გარშემო მაცხოვრებლები ხმაურმა გამოაღვიძია. ფანჯრები გამოაღვიძეს, ძირს გადაიხედეს და ფეხშიშველი კაცი დაინახეს. ფერადი ფეხშიშველი კაცი მოედნებით ერთმანეთ-ზე აჭედებდა.

— კაცო, რატომ არ გვაძინებ, რას აკეთებ? — გადმოსძახეს.

— სამტრედეს.

— რა დროს ეგაა?.. გიუია ოხერი?! მტრედები რომ არსად არიან?! — გაიკვირვეს.

ფეხშიშველმა კაცმა ყური არავის ათხოვა, თავის საქმეს განაგრძობდა. მერე საიდანლაც კიბე მოათრია, სახლის კედელს მიაყვადა, კედელზე ლურსმანი მიაჭედა და ზედ ფერადი სამტრედე ჩამოჰკიდა.

უეცრად ჰაერში ფრთების ფათქუნი გაისმა.

— მტრედები?! — თვალები მოიფშვნიტეს გაოცებულმა მაცხოვრებლებმა. ბავშვებს ძილში ჩაესმათ მათი ღუღუნი, წამოიჭრნენ და ფანჯრებს მიაწყდნენ. ეზოში ფეხშიშველი კაცი დაინახეს, მხრებზე ნაცარა და თეთრი ფრინველები შემოსხდომოდნენ. პატარებს სახე ღიმილმა გადაუბადრათ, დედებს ხელიდან დაუსხლტნენ და გარეთ გაცვიდნენ. შეხედეს სამტრედეს, ზედ შემომსხდარ ღუღულულა მტრედებს და აყიუზნენ.

— რა ღამაზი! — შეფრთინვით შესცექეროდა ფერად სამტრედეს ყველაზე პატარა ბიჭუნა.

იმ ღილეს სახლში აღარ შესულან ბავშვები, არც ფეხშიშველა კაცი წასულა სადმე — პატარებს ეთამაშებოდა, ართობდა, მტრედებს აპურებდა, თვითონაც ღლულუნებოდა.

გაწყონენ დედები...

— შინ ვერ შეგვიყვანა შვილები... საიდან მოვიდა! ვინაა?

— გიუია, ოხერი! აღარ მიდის?.. სახე დაენისლა ფეხშიშველა კაცს. წელანდელი აღტაცება უცებ ჩახფერებულ. თვალი მოავლო ჩანაცრისფერებულ, ტყუპასცალივით ერთმანეთის მსგავს კორპუსებს და აივნებიდან გადმომდგარ ხალს, ყველანი უცხონი იყვნენ, თითქოს სხვა პლანეტიდან მოსულან.

მერე მუხასავით დალარული ხელი აღმართა და ნაღვლიანად, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— გიუები თქვენ ხართ!.. ერთი ლამაზი ხე ვერ დაგირგავთ, ბავშვებს ლამაზი ოცნებები და ლამაზი სიზმრები რომ ჰქინდეთ. ნაცრისფერი დასდებია ყველაფერს. თქვენც განაცრისფერებულხართ და ბავშვებსაც ანაცრისფერებთ... — ამაყი მზერა მოავლო შემოჯარულ კორპუსებს და მხრება გაშლილი გაეცალა იქაურობას.

— შემოდიოთ შინ! — ხელი ჩავლეს დედებმა ბავშვებს. მხოლოდ ერთი ქუდკუნჭულინი პატარა ბიჭი გაუძალიანდა დედას — იდგა ეზოში და ხან ფერად სამტრედეს უყვარებდა, ხან ფეხშიშველ, მიმავალ კაცს.

გუგური ცოკობიძე



— გიუია, ე... ე! — შემოესმა ზურგსუკან ვიღაცის ხმა...

მაგრად გამოთვრა, მერე, როცა გამოფხიზლდა, ჰიო, საკვირვებავ, ამ ჩარჩოში აღმოჩნდა, ნახატად ქცეულიყო. ხელ-ფეხი გაშებოდა. მორზე ჩამომჯდარმა ტანი ვერ ასწია. მზად იყო, ეყვირა, მაგრამ შეჩერდა. უშვილძირო, ოჯახმოშლილისთვის სულ ერთი იყო, სად იქნებოდა. ამ აზრმა თითქოს ყველაფერი გაიყოლა. ერთბაშად გულგრილობამ მოიცვა და იქიდან ნასვლის სურვილი უცებ გაუფერმერთალდა. ეგი იყო მხოლოდ, ფანჯრის იქიდან ჩამნერივებული, ჩანაცრისფერებული კორპუსები მის თვალს კარგად ვერ ხვდებოდა და გუნებას უმღვრევდა. ფერთა ფსევრზე ყვავილის ფურცლებივით დაშლილიყო მოგონებები: ქვით მოკირნებული ქუჩისა და რიკულებიანი აივნების, ოქროსფერში განაბული უბნის...

ვახები მვარე აკად

მხატვრის სახელოსნოში შესულ უცნაური სიცივე დახვდა მასპინძლად. იქვე, კედელზე, კიდეგასხილი თითბრის ჩარჩი იყო მიყუდებული.

ფეხშიშველა კაცი მძიმედ, ფეხსათრევით შევიდა შიგ, უცებ მორზე ჩამოჯდა და გახევდა...

ნახატ-სურათად იქცა.

...აღარც ახსოვდა, როდის დაასახლა ტილოზე მხატვარმა...

ერთ დროს ქვით მოკირნებულ ქუჩაზე ცხოვრობდა. ქუჩის ორივე მხარეს ლიმილით იცქირებოდნენ პირლალანა, ორსართულიანი ოდა-სახლები. ეზოებში ვარდის სურნელი იფრქვეოდა და მეზობლების გულგამთბარი გადასახილები ისმოდა... სიზმარივით ახსოვდა წინათ ნანახი და განცდილი.

...იმ დილით ძმაკაცებს წა჊ყვა კოჯრის ველზე საქიფოდ. მწვადის შესაწვავად ცეცხლი დაანთეს...

იქვე, ერთ ნაბიჯზე, შეშინებული ზაფრანა ცაცახებდა: ვაი თუ, ალი მომწვდეს და დავინგვაო. ახსოვს... ცეცხლი შორს გასწია, კინალამ თითები დაინივა... ჩაიმუხლა, აკანგალებულ ყვავილს ჭუჭყიანი ქაღალდები შემოაძირდა მიეფერა.

მეზობლების გულიანი შეძახილ-შემძახილი.

ერთხელ სახელოსნოში ღია დარჩენილი სარკმლიდან პეპელა შემოფრინდა. კაცს მის დანახვაზე გუნება აუგარდისფრდა. წამოინია, მაგრამ ვერ წამოდგა. „მე ტყვე ვარ!“, — კაზაზასავით უკინა განაფიქრმა, თავისმა უიღალებაში დაზაფრა და ნაღველი გაუდიდა...

პეპელა გაფრინდა, სახელოსნოში ნაცრისფერი, უკიდეგანო სევდა ჩამონვა. სევდამ სულის ყოველი სიმი შეურნხია და კაცი აატირა.

ცრემლი თითბრის ჩარჩის დაეცა და უცებ ერთგან ჩაიხსნა. დაიმსხვრა შუშა. მოულოდნებლივისგან კაცს თავ-გზა აებნა, მერე გონს მოეგო და სახე მზესავით გაუზათდა:

„ახლა მე თავისუფალი ვარ!“, — ამ ფიქრმა ჩვეულებრივზე მეტად გაამხიარულა...

სიმარტოვით გამოწვეული სასონარკვეთოლება ჩაიფერფლა და სახელოსნოში ფეხადგმულმა ნაცრისფერმა სევდად ვარდისფერი კაბა ჩაიცვა. კაცმა შვებით ამოისუნთქა და შიმევლი ფეხი ძირს, იატაკზე ჩამოდგა. ღია სარკმელად და მიეფერა.



— სად წაიღე? — შემოდი, გამყიდველი გამიხდა აკაგვირგო, კაცი მიღებით და მომენტი... კაცმა ახლალა შეათვალიერა თავისი თავი. გაასენდა, რომ აუცილებლივ და დროდად ჩამოდგარის უნდა ჩაეცვა, მაგრამ რომ არ ჰქონდა?

— რა გნებავთ?

— ამ ქვეყნისა არ უნდა იყო, თორემ ფეხშიშველი რა გატარებს?

კაცმა ახლალა შეათვალიერა თავისი თავი. გაასენდა, რომ აუცილებლივ და დროდად ჩამოდგარის უნდა ჩაეცვა, მაგრამ რომ არ ჰქონდა?

— ან რითი ეყიდა?

ჩამოდგარის უნდა გამოიხმარება.

— შემოდი, გამყიდველი გამიხდა აკაგვირგო!.. კაცმა აუცილებლივ და დროდად ჩამოდგარის უნდა ჩაეცვა, მაგრამ რომ არ ჰქონდა?

— დიდი არაფერ საქმე იყო. ფუნთუშები უნდა გაეყიდა. დღის ბოლოს იანგარშეს და ფეხშიშველა

ნ ა უ რ გ ა თ ე ვ ი

ქალბი რვეულიდან

თავპრუდამხვევი ტემპი

რაღა გვიშველოს ქრისტემ, ბეთლემმა,
ხერხემლის ძვალი ზურგზე მეთლება,
გვესვა ჭირი, გრძელდება ისევ
ერის დაცემა და გადედლება.

ჩვენი ქუჩის რესტორნები

(სამუდამოდ დაკარგული მყუდროება)

ელავს გუნდი ვარსკვლავთა –
გაბრული ბრინჯი...
მთელი ღამე ძლიერ ვუძლებ
ვიოლინოს პრინჭილს,
ვბორგავ, ღამის ყურებში
ჩავიჩურთო ჭინჭი.

მოქეიფენი

გადაბმული ღრეობა
ამსუბუქებს ქისას,
შეკვლებაც თან ახლავს
კისკისს ბოზებისას,
ბევრი ასე პოულობს
ცხოვრების აზრს, მიზანს.

გულჩვილობის შედევი

ტყუილად ფიქრობ – ვიღონო რამე,
თუნდაც დამკიდო, მზეზე გამფინო;
ხურდა მათხოვარს ჩავუგდე და მე
ვეღარ ვყიდულობ ნაყინს „ბამბინ“.

ძმარი მევლება

(სამარცხვინო სამაია)

არ ვამბობ (გული კვლავ აყირავდა)
არც მოსაწონად, არც დასაწუნად,
იმათგან, ვისაც ვიცნობ პირადად,
სულ მეჯავრება სამი კაცუნა...
შარმან, ზამთარში ვფიქრობდი ამას.
ბუხარი. ცეცხლმა გაიტკაცუნა.

გზიდან გადახვევა მოგინდება

მძმარავს დანახვა სიფათის მათის,
გინდ დაფნით მორთონ, გინდ – ალოეთი,
გული მერევა, იმდენი დადის
ვითომ კაცი და ვითომ პოეტი.

განწირულები ვართ

(განგაშის ხმა)

ბევრი გადასულია ხვეჭასა და გლეჯაზე,
ინაღდებენ თავისას მეხაშე და მეჯაზე.

სასახლებს სჭირდება ხან აგური, ხან კირი,
ჩვენ სისხლს სვამენ „ბანკებით“ მეგახშე და
ბანკირი.

ყველაფერი აღმოჩნდა ვანოსი და ნიკოსი,
ვინ დაჩეკა ამდენი ბრექი პოლიტიკოსი.

გაწევ-გამოწევანი ათასნაირ ბანაკთა,
თუ რამ გვქონდა სიკეთე – მოისპო, გაჩანაგდა...

ქრთამი – ყოველ ნაბიჯზე, რის სალარო, რა
ფოსტა,

კაცი კაცთან, დიდ-პატარა გაიხრწნა და გაბოზდა.

ზურგში დანა – ძმობის წილ, ღვინის ნაცვლად
– არაყი...

ყაჩალობენ, კაცის კვლა უკვე გროშიც არა ღირს.

ვილას ახსოვს სიკეთე, შენი ნიჭი, მელოსი;
ბენვზეც აღარ კიდია ბედი საქართველოსი.

ქუჩაში გასვლა მეზარება

ბოროტისა და კეთილის,
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარო,
ყოველ ნაბიჯზე – გლახაენი,
თვალზე რა ავითარო?!

კუჭზე დაფუძნებული

ვერ გადურჩა იმათ ანკესა –
ვერც ბაზარი და ვერც ბანკი;
მიიტაცეს და შექანქეს,
თუ რამ იყო შესაქანქი.

გამოურთეთ მიკროფონი

შენსავით ურცხვი, ფლიდი შენდარი,
ჯერ არ შობილა პარლამენტარი...
ვინ გაგაჩინა ურჩხულ-დრაკონად,
ნეტა, შენი ხმა არ გაგვაგონა.

მცირე დაჩივლება

(ვაჟას მოტივზე)

აბაზანა ვერ გავმართე,
ვერ ვქენი ჭუპა-ჭუპაო,
მოკასინები არა მაქვს,
ცოლს არ მიცვია „შუბაო“,
სიგლახე-სიბერიავესთან
ასე ვინ შემატყუპაო.

ძველი სიბრძნე

არ ვარგა შური, მტრობაი,
გვასწავლის ერთი რობაი.

რჩევა

ყური მიუგდე ქენს –
სიკეთეს, სიბრძნეს გძენს.

არაფერი იცვლება

ყოველ ნაბიჯზე ალიანსები –
გაიძვერათა, ნაძირალათა,
კარგს არ ვეიქადის მათი შანსები,
იკვრის ცხოვრება – ძველი ბალადა,
ასე ყოფილა, უნდა მიერთვას,
ზოგს – ჩახოხბილი და ზოგს – ბალანდა.

კაფკას იგავი

სულერთია, იმ ბნელ სოროს,
სწრაფად გათხრის თუ ნელა;
საპრალოა შავი მიწით
გათხუნული თხუნელა.

ჯოჯოხეთის მაშალა

(თავზე საღებავი გადასხეს)

დაძრნიან, აღარ გათავდა
კუდიანების შაბაში...
დამიტინგიცობს, დახტუნავს –
ეშმაკი, ქალის კაბაში.

ნილში ჩამდგარი

ყური მიგდე, შენი ევრო,
ჩემი არი სანახევროდ.

პანეგირიკების ნიაღვარი

ბევრის ხოტბა-დიდება
იწერება ოდებად,
პატივშია უბირთა
ბოდვა, მიდებ-მოდება.

ამას ვინ მოიფიქრებდა

ჰქონია ამ ხალხს ალლო, გეში,
შორს მოიტოვეს კომპარტია;
დღეს წავიკითხე, რომ ვაკეში
მობილურების ლომბარდია.

მცირე რეკლამა

(ციკლიდან „პირის გემო“)

მეგობარო, თუ ჭამა-სმა
მოგინდება მადიანი,
შენს წინაა საუცხოო
რესტორანი – „მატიანე“.

სარფის გიუ

განცხრომაში გახლავთ ბუჭა,
ფული ბლომად ჩაიკუჭა.

გამოვიდა ეუენ დელაკრუას ნერილები

ზოგჯერ ვფიქრობ, გარეშემო
ყველა ბრმაა, ყველა ყრუა,
ისლა დამრჩა – ვიყიდო და
წავიკითხო დელაკრუა.

ქეიფის მოყვარული

(ძველი თავადის გახსენება)

ასე იძახდა მამუკა –
დამიდგით ღვინის ჯამუკა,
შემომეჩვია მოწყენა,
არ მაწყენს სმა და ჭამუკა.

რეკლამის ვირტუოზები

(წიგნის ფესტივალიდან გამოყოლილი)

ვიოლინოზე ლამობენ დაკერას,
უნდა ეჭიროთ ხელში ფანდური,
შეეფერება მათ ძირს და ნაგრამს –
მათივ წიგნები, სიაბანდური.

მეგრანტენი

ბევრი გაძლა და გაკეთდა
საქართველოს ნგრევაში;
ავსულების ასალაგმად
საჭიროა რევანში.

პუთი ვორია

მუსიკა მაჭავარისანისებური

**ქმურვა მეფის ირაკლისა მოსმენილი
მცხვთას, სამარის პირად**

წყალნალებულნო მხედრიონინო, სანო მრუდენო,
ქუჩის ყაჩალთა და მპარავთა ნავსაყუდელნო,
ბიჭო ჯაბარ, თუმც სადავოდ საიმერო,
კიტო ქვემეხო, სიგოს სიტყვავ, სიტყვავ ყბედოო,
რა გაამრთელებს საქართველოს,
თქენებით დამეწყრულს?!

სისხლით შედებეთ არემარე მისით, რამეთუ!..

**მე-20 საუკუნის მიწურული,
ანუ მოქავშირული აღაპი**

„არაგვში“ გაშლილია მდიდრული სუფრა...
გარდაიცვალა „ერის კაცი“, ჩინებული ლხინია!
შუსუსუს მინისტრი, თარგამაძე, თავაზიანობს ყასიდად:
შემწვარ მწყერს არ მიირთმევთ, ქალბატონი ირინა?
გმადლობთო, – ირინამ, – ჩემიც ბლომად მყავსო
(ლობიოს წაეტანა. წამლეე მოვარესა ჰეგას!)..
გურულებს ტირილში ხორცი არ გვიყვარსო! –
ეტყვის იქედნურად, გულლრძოდ თვალებს ნაბავს...
გახურდა ქეიფი. მანდილოსნები ჭორებს,
მამაკაცები ვება ყანებს და ენაფენ.
კაუნა – მართვე შევარდენის,
ირინა – გნოლი შავოსანი,
ებლივიებიან ერთმანეთს.
(ორ, ეს უკვე ზედმეტია!) კახუნამ:
მე თქვენ მოგიწყობთო ბაირამ-ზეიმს!
დაიუინა, მიტინგაო! – ბაკურაძეს
დავურეკავ და გირვენებთო სეირს!
– რას უთხარ! – კახასთან ელენე მიფრინდა:
ტო ესტ „Пыр“-ი არი, რას გაამიტინდა!..
– ჰი, ჰი, ჰი, – ქირქილებს მუჭი სარიშვილი, –
ეს თუ მინისტრია, ამასაც ვიკითხავ!..
...მერე კახუნამ „ჩაატარა“ არჩევნები.
შალიკო გამოვარდა. შევარდა ფიქრია.
მერე სტაბურგიდან – მოიცათ, მაცალეთო! –
იქანის შალვა და ქუდს ბერტყავს ფიფებიანს...
მერე, მამუკას, თამრიკოს, განიკოს
„ქუჩის ოპოზიცია“ ჰქვია
და, რა თქმა უნდა, ირინაც იქვეა!..

**ამონარიდი სახელმწიფო ქონების ყოფილი
მინისტრის საპროგრამო სიტყვიდან**

ვიდრე ბანკი ჩვენთვის ჩვენს ვალს გაიმეტებს,
ხომ უნდა გავიტანოთ თავი რაიმეთი!..
ჰოდა, ან ბაზა იყიდეთ, ან კიდევ ბაზარი,
ან, სულაც, სახინკლე... ან რაღაც ამგვარი!..
თორებ ჩვენი ბანკი, ხო იცით, რავარია?
ვინ უწყის, ჩვენს ანაბრებს როდის გაიმეტებს!..
რა გააძლიერებს ისე ადამიანს,
თუ არ გაიტანა თავი რაიმეთი!..

**სიტყვა თქმული მოქავშირის გენერალური
მდივნის პოსტზე ორი თვით მოსული
თამაზ გიორგაძის მიერ, ორი ათას სამში,
ნათლისძების ნინა დღეს**

ჩვენი ხარ მაშინ,
მოქავშირის მაშინ ხარ ღირსი,
როდესაც იცი,
ძილ-ღვიძილშიც როდესაც იცი:
რა არ უნდა ქნა,
რა უნდა ქნა,
როგორ უნდა ქნა,
სად არ უნდა ქნა,
სად უნდა ქნა,
რატომ უნდა ქნა!..
სიცხიზლე გმართებს,
სიმარტე გმართებს,
ნაქარი შენი,
ვითარცა სხვისი,
არ გახდეს-მეთქი,
არ გახდეს, რათა
„ალორძინების“
გაკიცხვის ღირსი!..

მუსიკა ლეპანიძისებური

კომპარტიელ ბორიას

ბორჯომს წაგიყვანს და ციმორს არ გაჭმესო,
მშეერს დაგაგდებსო, წაპყვები ვინცო,
ხმა თუ ამოილე, ამბავს დაგაწევსო –
შენზე თუ უშნობენ, ბორიავ, ბიჭო!..
მე ახლა იმ ასაქში არა ვარ, ქე იცი,
და არც იმ ჭუაზე, მძორი გავაფხაო!..
სულ მთლად მივატოვო ლხინი და ქეიფი,
ბიჭები გადვიყიდო, სიდედრი გავახარო!..
ხოლო ეს ბორია თავისის ერევება
(ჩემი შეგონება არ ულირს გროშად)!..
თუმც კი ჩახობილი ეელეთმელეთება –

კეუერა მხალს ვარჩევო! – რაღაცებს როშავს!..
ისე იჭაჭება სიკვდილმიწეული,
ვითომც ვჯობივარო თავადს, დიდგვარიანს!..
ვითარც მორბელაძე, მუცელმიმწნეული,
ბორია იმგვარია!..

●

ჩიტაძის ქუჩის დასაწყისში, ჭადრის ხეში
დღესაც ჩარჩენილია კიტოვანის ყუმბარის
მასრა 1991 წლის დეკემბრის სახსოვრად.

ორსავე მხარეს ბოძებული ტყვია და დენთი
რუსის ხელმწიფის დაგებული, ნაღდად მახეა!
არავითარი არგუმენტი, ამაზე მეტი, არ გაგვაჩნია!..
ვითარი იწვევდა „რუსთველი“ და ილხენდა ფლიდი!..
ყუმბარის მასრა ბებერ ჭადრა დღესაც გასჩრია!..
არავითარი დოკუმენტი, ამაზე დიდი, არ გაგვაჩნია!..
„სპოსბოს“ ნაცვლად საზღვრად ვიზის აღმრთა კეტი!..
და მაინც ისევ ვუერთგულოთ? ვის, გააჩნია!..
არავითარი სხვა ლამპარი, ილიას მეტი,
არავითარი სხვა სხნა, სხვა გზა, არ გაგვაჩნია!

ჯანსულ ჩარკვიანისებური

„მეყურვალისათვის მიმატანინე წყალი,
მევალისათვის მიმატანინე ვალი!“

მოშურნესათვის დამავსებინე თვალი,
მსტროვარისათვის ამაბნევინე კვალი,
მომხდურისათვის გამაკერევნე ბრჭყალი,
იმისი სისხლით გამაფერინე ხმალი,
დაცამლენვინე მისი ხორცი და ძვალი!
დამაბრუნებინე ყველა ლაზი თუ გურჯი,
ყოველ მათგანში გამადვიძებინე ქუჯი,
მოდავესათვის დამაბრუნებინე ხურდა!
მერე მობრძანდეს, მობრძანდეს, ვისაც უნდა!

ტარიელ ზანტურიასებური

ტარიელი თავის თავზე, „შავ ნიგნზე“, ლენინზე,
ქლინთონსა და სხვასა და სხვაზე

სულ არ ვფიქრობ, რომ ლექსპრომტი საზომია სიდიადის!..
გასწიე და გამოსწიე, მაინც მუნასიბი არის!..

●

ლენინი რო ლენინია (კი, ეშმას მოვლენილია),
იმანაც კა, – სიტყვით მანც, – ჯერ „მშვიდობა“ აღიარა!..
ამ ქლინთონმა გადამრია, სულ რო ყელმოლერილია, –
პირველი დეკრეტი უძღვნა პედერასტის დამლინებს!..
ჩვენში თუ ვინე გამორჩნდა (ასეც უნდა!), ვატიალებთ!..
იმგენის მამათმავალი, თურმე, ჯარში დაყიალებს!..

●

„მეცხრამეტე დასრულდა – ჯერ დადგა მეოცის,
ალარც გიური ტრისტანი, არც – სევდა რომელის!“

აგვისრულდა ოცნება – ლოცვამ გაჭრა მეოხის:
შენ ჩვიდმეტის გაგხადა, შენ – ჩვიდმეტის, მე – ოცის!
მიჯნურობა ის იყო, მე და შენ რო ვიცოდით!
ერთად თვალს რო მოგვერავდნენ, სირცევილისგან
ვიწვოდით.

ახლა ისე დადინა დაუკრეფავ ბალჩაში,
სინდისი და ნამუსი, გეგონებათ, დარჩათ შინ.
სულ ერთია, სად ზიან: კაფეში თუ კინოში,
ვითომ, ეჩურჩულება, შეხედავ და... კი ლოშინის!
აღარც აბესალომის, არც ეთერის, არა,
ავთანდილ-თინათინი, ნესტანი თუ ტარია
აღარავის აღარ რევს, მიჯნურობა მკვდარია!..
მაგრამ ვართ ხომ ისევე შენ – ჩვიდმეტის, მე – ოცის,
მაგრამ დგას ხომ ისევე პირამიდა ხეოფსის!
თფუო, ეშმას – ანმყოს! – და კვლავ დავიწყოთ თავიდან: „შუა ზღვაში, ძვირფასო, გადამაგდე ნავიდან“.

●

კი, ვუჯერი ბედის ვარსკვლავს, კაცის სვე-ჭედს,
ანუ ყისმას!..
ცა გამიხსნა სასწაულმა – ორმა თვალმა ანუკისმა:

ცალში თამარ-მეფე ჩანდა, ცალში – დიდი პაპა მისი!..
და ვირნმუნე – ბედიაში გადმეხდება პარაკლისი!..
თანაც, ყველა ჩვენი მტერი შთაინთქმება მანამდისინ!..

შვილები აღარ სწავლობენ დიდროებსა და ბეკონებს,
არც ჰაიდეგერს სწავლობენ,
შოპენპაულ-ბერგსონებს!.. – გროშადაც არ დაგიდევენ
შტაინერის დაარ პერსონებს!..

კალიორომ გითხრათ, რუსულით, ქაჯობენ ანუ „ბეს“ – რბენ!

გიბო ზარნძე



მანატვარი ზარნძე ლეისარი

– პოსმოტრიმ, ტოლკო სტაქანსა
თუკი დამიდგამთ ვესომსა!

– ლექსო, ხომ იცი, მე შენთან

ჭუკუუკა არ მომწყინდების:

ზოგი კოკით სვამს, იმასთან

შეჯაბრი არ მოგინდების!

– იყუჩე, ბალლო, ე მაგით

მსმელობა ვერ დადგინდების:

კოკასა შიგან თუ მთხლე დგა,

იგივე ნარმოდინდების!

პესი ხარანაულისებური

აქა ამბავი ხარანაული ბესიკის
ლიშოს დასახლებისა

პერეტმა ბესიკ ხარანაულმა დატოვა
დედაქალაკი და ლიშოში დასახლდა.

(„ლიტერატურული გაზეთი“)

– სულ არ შეგვევლო ლიშოსა,

• ჩაფრენილია ეშმა პრტყალებით, სხივდანაკრავი ღრუბლის ნაოჭებს, გამურულია ზეცის საცრები, ქერუბიმები ცხარედ დავობენ.

რადგან გარემო ისე დაჩქლითა შენიდლულ არსთა ხილულ მათრახმა, შებრძოლების და გაძლების დვრიტა სულმა ულმობლად ხორცში ჩამარხა.

• ამ გაზაფხულის მწვანე ფერები სხვათა ფერთაცვლას არ ჰგავს სრულიად; მოჩვენებათა ცივი ხელები და გამურულია.

ჩაყიულია გულში ვარამი, სუნთქვა მეხშობა ქაოსის ბუღით... გალიმებული შვიდფერი კრძალვით ღვთივ აცისკროვნებს უერო დუმილს.

• ვერ წამოდგება ასე ადვილად გადათქერილი ღობის ჩელტები; დელგმამ და სეტყვამ სივრცე დაცხრილა, განბილდა მრწამსი უტყვი ვედრების.

დაჭვნა შროშანა, ხმება ასკილი, ალმოსავლეთის ქარმა დაპბერა... შინაგანბის მწარე სამხილი იდუმალებას ირჩევს სახელად.

სიზმარი

ნუხელ, სიზმარში, შავი ზღვის ფსკერზე დავსრიალებდი ხელის ცეცებით; ვძებნე თილისმა, ზურმუხტიც ვძებნე, ვერ მოვიხელთე მაინც ვერც ერთი.

გულს ახარებდა თევზების ჯარი, თავბრუს მახვევდა მათი ნავარდი: უეცრად ვეშაპს მოვკარი თვალი და ურჩ იონას დღეში ჩავვარდი...

შიშმა როდესაც გამომალვიძა, უფალს მადლობა შევნირე მყისვე, რომ ვინჩეს ყბაში არ ვიყავი და ანგელოზი რომ ფრთებს შლიდა ცისფერს.

პაპუნა ჩვარიანი



მ კ ი თ ს ვ ე ლ თ ა ს ა ყ უ რ ა დ ლ ე ბ რ დ !

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკორ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქართველოს (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. ქორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრეს- ქ. ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:

ქოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

ა რ მ ი თ ხ რ ა , გ ვ ი ა ნ ი ა

ჩვენ გავექეცით მთების ჩანჩქერებს და მათ სიმაღლეს ვარჩიეთ მდელო, იქ, სადაც ხელით ვეხებით მთვარეს და მზის სხივები გვეფრქვევა მხოლოდ; მე ვეკითხები მავანს და მავანს:

ნუთუ გავთავდით, ბოლოს და ბოლოს,

აკვანი არვის ადარდებს, მგონი,

და მის ობლობას შორიდან ველოვობთ.

ც ხ რ ვ რ ე ბ ი ს ფ ი ლ რ ს მ ი ა ნ ი ა

სახლი ავაშენე, ვენახი გავაშენე, ხეხილი მოვაშენე, - ცოტა დამასვენე, მოვკვდე - გამასვენე, სამარეში ჩამასვენე და ყვავილით დამამშვენე. შესანდობარი?! - ალბათ... ოჯახს აკმარე და, ღმერთო, ააშენე!

• აიკრიფება ჭალის ჯანლები, მთებს ვერ დატოვებს ფიქრი წარსულის, მოვა იმედი - გაზაფხული, მწვანე ქათიბი, გამეხარდება, გავლალდები - რომ მოტკრუციალე კვლავაც ვნახო ფშავში ბალდები.

მ ე დ ა თ ო ვ ლ ი

თოვს და ქუჩები აივსო თოვლით და გაინაბა ცხინვალი თეთრად ჩემში შემოდის სიმშვიდე თოვლით და მე და თოვლი დავდივართ ერთად. ამ თოვლს თავისი აქვს ანდამატი, ჩემი მფარველი ანგელოზია და ფიფქზე ფიფქის დაშვა ლანდი, ფიფქები სულის თეთრი ცრემლია... და მაინც - ასე რად მენატრები, რად მესიზმრები მუდამ ეული და მერე ცხადში რად მელანდები ხან მინიერი, ხან მთვარეული... შენა ხარ ჩემში, ვით დიდი მადლი, და მე, ამაყი შენი ღირსებით, ადრეა? მაინც დაგიბრუნდები და აინთება ცაზე ცისკარი, მე მოვალ შენთან, მე მოვალ შენთვის, მე, უშენობით მიუსაფარი!

თოვს და ქუჩები აივსო თოვლით და გაირინდა ცხინვალი თეთრად, ჩემში შემოდის სიმშვიდე თოვლით და მე და თოვლი დავდივართ ერთად...

• ცხინვალში, როცა გაზაფხულს ემატებოდა მწვანე, როცა აპრილის პაემანს უთალთვალებდა მთვარე, ისეთი წვიმია იკოდა, გადაგვიშლიდა გულსა, ლიახვისპირას, გალმელებს ვესტუმრებოდი ძმურად. ოსურ ხაბიზგინს რა სჯობდა? ზარეტას წითელ მწნოლსა, „შახარაჯინი“, „ფიტჯინი“

ჩ უ მ ი გ მ დ ე ბ ა

„აქ ხვინითაც არავინა ხნავს და არც ვინ თესავს თესვითა“

ვაჟა

ვერ ავიხდინე სიზმარი, ცხადლივ ვერ მოვედ შენთან, სათავე ჩემო და ძირო ჩემო, ჩემო მინავ და წყალო, საგვარეულო სოფელო, მისრიათ კარის პირო;

საუკუნეებს ვუმზერ და იმ წინაპრებს ჩემსას, აქ რომ მკვიდრობდნენ უწინ - მოდგმით ოსტატნი ხმლისა და ნამგლის, სახნის-საკვეთის.

• გავიდა დრონი, მინავლდა ღველფი, ჩაქრა კერია, გამოცლილია დედაბოძი ჭერსა და ეხოს. აყრილან აქით და წასულან, ვინ სად და როდის, მაშინ, როდესაც ყმად შეფიცულნი სულ პატრონობდნენ სალოცავებს მეფის თამარის.

ნ ე დ ა რ მ ი ს რ ი ა მ ვ ი ლ ი

ოჯახში ჩვენი ძმისა!

ჩამოირბენდა სუფრაზე,

ღია, რიალი ძმური,

ჩვენში არ იყო მისხალი

ბოროტება და შური.

ღამით, გვიანით, სიმღერით

ავუყვებოდით ქუჩას

და მივდიოდით ბიჭები

გულებითილები სახლში...

ასეთი მახსოვეს ცხინვალი:

დარბაისლური, თბილი.

ო, როგორ მომნატრებია

შენი ბადაგი ტყბილი.

ცხინვალში ასე გაზაფხულს

ემატებოდა მწვანე.

ახლა სადა ვართ, ბიჭებო,

სად გვითენდება ღამე...

ჩემთვის ვიტყვი ჩუმად,

სროლის ხმაზე, უნუგეშოდ

ტყვიებს ვყლაბავ უმად...

თავში ღექები მიტრიალებს,

სტრიქონს ვაწყობ ხმებში,

და ყოველი თოთო სიტყვა

კვლავ მაკვდება ხელში...

ზარბაზანი ქუხს და სადღაც

კვდება ერთი ბიჭი...

ღმერთო მიეც ოსს და ქართველს

დაფიქრების ნიჭი...

მ ე დ ა დ ე ბ ა

აგვისტო, ცხინვალში ვარ,

კარგს ვერაზერს ვხედავ...

ასეთი რა დაგაშავე

მე, ქართველმა, ნეტა,

რომ ცხინვალში ჩაერჩი ასე

ავადმყოფი დედით:

გონ მარგუნა შხამით სავსე

დამცინავი ბედი!

ზარბაზები ქუხან, ქუხან,

შუალამით, დოლით.

მერე რა, რომ დედას შია -

ურუანტები მივლის.

შევილო, თევზი მენატრება, -

კრძალვით მეტყვის დედა,

ამ სიტყვების გაგონება

ჩემთვის არის ელდა...

ფული სად მაქვს, დედაჩემო, -

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი

პრესის პრინციპებით.

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დ ვ ი რ ვ ა ს მ ა ვ ტ რ ე ბ ა

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის თოხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს "ასავალ